საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 78
(11 535)

5 – 8 ოქტომბერი, 2001 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ნომრიდან ნომრამდე

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ დღეებში მოხდა, ის არის, რომ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის გარშემო ატეხილმა ამბებმა ახალი და მოულოდნელი გაგრძელება მიიღო. ცნობილი გახდა, რომ ამიერიდან კლუბს სხვა მეპატრონე ეყოლება. ამბობენ, რომ ეს არის ერთ-ერთ ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული უცხოური კომპანია „ჰიზერ პარკიას“, რომლის ფაქტობრივ მფლობელებად სუპერ მილიონერების ბერეზოვსკი – პატარკაციშვილის დუეტს მიიჩნევენ. „დინამოს“ ჯერ კიდევ გუშინდელი სრული მეპატრონე, საქართველოს შს სამინისტრო მიესალმება ამ ფაქტს იმის იმედით, რომ კლუბი ორ-სამ წელიწადში ფეხზე დადგება, გაუტოლდება ევროპის საუკეთესო კლუბებს და საამაყო წარმატებებიც არ დააყოვნებს.

ცვლილებებს რეზო არველაძის კლუბის პრეზიდენტობიდან განთავისუფლებაც მოჰყვა, რასაც 32 წლის ქართველი ვეტერანი ფეხბურთელი მშვიდად შეხვდა. იგი მიიჩნევს, რომ გასაკვირი და საწყენი არაფერია, მოვიდა ახალი მეპატრონე და მას სურს კლუბში თავისი ხალხი აიყვანოს. არველაძის შემცვლელად სახელდება თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი, ამჟამად სფფ-ს საშეჯიბრო კომიტეტის უფროსი გია ფირცხალავა. მიმდინარე სეზონში კლუბის ახალი მფლობელები გუნდის შემადგენლობის ახალი ფეხბურთელებით გადახალისებას არ აპირებენ. მომავალი სეზონიდან კი უცხოელი ფეხბურთელებით „დინამოს“ გაძლიერება იგეგმება.

# ხვალ და ზეგ მსოფლიოში დიდი ფეხბურთის დღეა






2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

6

## ძიუდოისტთა 16 მედალი



2



ბარსელონა – მალიორკა

## ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

6

## მილოცვები

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს საქართველოდან ვაჟთა შორის XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენს, ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონს სამხტომში, ბრწყინვალე პიროვნებას ვიქტორ სანეევს.



* * *

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს ვეტერან ქართველ ფეხბურთელს, ოლიმპიური თამაშების პრიზიორს რევაზ ჩელებაძეს

## დეპარტამენტის მილოცვა

სულითა და გულით ვულოცავ საქართველოს სპორტული სამყაროს ყველა წარმომადგენელს, ქართული სპორტის გულშემატკივრებს და თანამდგომთ ტრადიციულ დღესასწაულს – „საქართველოს სპორტის დღეს“, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით 1997 წლიდან ყოველი წლის ოქტომბრის პირველ კვირა დღეს აღინიშნება.

ძვირფასო მეგობრებო!

ქართულმა სპორტმა დღემდე სახელოვანი გზა განვლო და შექმნა საამაყო ტრადიციები, რომელზედაც თაობები აღიზრდება. „საქართველოს სპორტის დღის“ საზეიმო აღნიშვნა კიდევ უფრო მეტ სტიმულს მისცემს ჩვენს ქვეყანაში სპორტის წინსვლას, უფრო მეტ ახალგაზრდობას, საშუალო და უფროსი თაობის ადამიანებს წაახალისებს და მოაქცევს თავის ორბიტაში მსოფლიო მოძრაობა – „სპორტი ყველასათვის-“

გისურვებთ წარმატებებს!

ირაკლი მეძმარიაშვილი,
საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

## საქართველოს „სპორტის დღეს“ მიეძღვნება

— ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოგამოფენა „სპორტული საქართველო“. სპორტის დეპარტამენტის ფოიე. 12 სთ.

— ქუჩის ფეხბურთი. თბილისის ბავშვთა საფეხბურთო გუნდების მონაწილეობით. თბილისის სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია. 11-13სთ.

— ჭადრაკის სასახლეზე ნ. გაფრინდაშვილის დაფის გახსნა. 14სთ.

— ღირსების ორდენების და სპორტის დამსახურებულ მუშაკთა მოწმობების საზეიმო გადაცემა. ჭადრაკის სასხლე. 14.30სთ.

— საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სპორტული და მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარება.

## მოლდოველი ქალები „გაგიჟდნენ“...

კიშინიოვის კლუბ „კოდრუს“ ქალ ფეხბურთელთა გუნდმა ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო ქალთა შორის უეფას თასის გათამაშებაში. აღსანიშნავია, რომ სამივე შეხვედრა მოლდოველმა ტყავის ბურთის ქალმა ოსტატებმა ერთნაირი ანგარიშით 9-0 გაიმარჯვეს.

# გაზეთის დაბეჭდვის წინ:

## ჯერალდმა ბოდიში მოიხადა

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ „ლივერპულის“ ნახევარმცველმა სტივენ ჯერალდმა გვიანობამდე დრო ღამის კლუბში გაატარა და შინ საკმაოდ შეზარხოშებული დაბრუნდა ღამის პირველ საათზე. ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ერიქსონი და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია აღაშფოთა ფეხბურთელის ასეთმა საქციელმა. ყველაფერი იმით დამთავრდა. რომ ჯერალდმა ბოდიში მოიხადა, რითაც ერიქსონი ამჯერად დაკმაყოფილდა.

## წითელი ბარათი... 35 წამში



მხოლოდ 35 წამი იყო გასული „ტენერიფესა“ და „სევილიის“ მატჩის დასაწყისიდან, როცა ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის ისტორიაში მინდვრიდან ფეხბურთელის სწრაფი გაძევების რეკორდი დაფიქსირდა. არგენტინელი ლეგიონერი ბრუნო მარიონე მეტოქეს უხეშად ეთამაშა. ფაქტობრივად, ეს მოხდა მატჩის მე-19 წამზე, კიდევ 16 წამი კი მსაჯს დასჭირდა წითელი ბარათის აფრიალებამდე მანიპულაციის ჩასატარებლად.

# წოდებების მინიჭება

საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვა-განვითარებისა, ახალგაზრდა თაობის ფიზიკური აღზრდის საქმეში შეტანილი დიდი პირადი წვლილისათვის, სპორტის დღესთან დაკავშირებით „საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის“ წოდება მიენიჭათ:

ჯემალ ჯიბლაძეს – ლაგოდეხის რ-ის სპორტული სკოლის დირექტორს;

ივანე ბოგილაშვილს – სპორტულ კლუბ „დინამოს“ მწვრთნელს ჩოგბურთში;

შუქრი ძოწლაძეს – ონის რ-ის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს;

ნოდარ ლეჟავას – 35-ე საფეხბურთო სკოლის მწვრთნელ-მასწავლებელს;

ბიჭი ბუა[illegible]ს – 35-ე საფეხბურთო სკოლის უფროს მწვრთნელს;

სოსო დიაკონიძეს – ქუთაისის რაგბის კლუბ „აისის“ მენეჯერს, ქ. ქუთაისის სპეციალიზებული სკოლის ხელმძღვანელს;

გიორგი ჩიხლაძეს – ვეტერან-მოკრივეს, მწვრთნელს კრივში;

გოდერძი ფასურიშვილს – საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ჭიდაობაში;

ომარ მიქალთაძეს – ქ. ქუთაისის ცენტრალური საცურაო აუზის დირექტორს;

ნოდარ აღდგომელაშვილს – ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სპორტის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის უფროს მასწავლებელს;

ნიკოლოზ ლეშკაშელს – ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ტანვარჯიშის კათედრის უფროს მასწავლებელს;

ვახტანგ ლობჟანიძეს – ვეტერან-ძალოსანს, ბავშვთა სასპორტო სკოლის მწვრთნელს;

გურამ მუკნიაშვილს – საჭადრაკო მწვრთნელს, ქ. გორის საჭადრაკო კლუბ „მთიების“ დირექტორს;

შოთა ზუკაკიშვილს – სამბოს ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარეს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს;

ვიტალი ზამთარაძეს – საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში;

ზაურ ფოცხვერაშვილს – ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯის მასწავლებელს;

ლადო გურჩიანს – მეკლდეურობის ფედერაციის პრეზიდენტს, ბავშვთა და მოზარდთა მთამსვლელობის რესპუბლიკური სასპორტო სკოლის დირექტორს;

გერასიმე ძურასბედიანს – ლენტეხის რ-ის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს;

ვახტანგ გაგნიძეს – თელავის რ-ის სპორტკომიტეტის ინსტრუქტორს;

დავით ძეშიკაშვილს – თელავის ბავშვთა-მოზარდთა სპორტთამაშების სპეცსკოლის დირექტორს;

გიორგი სვიმონიშვილს – თელავის რ-ის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს;

თამაზ ბენდიანიშვილს – ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის მწვრთნელ-მასწავლებელს თავისუფალ ჭიდაობაში, საქართველოს კადეტთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს;

ოთარ ჯაფარიძეს – საზოგადო მოღვაწეს, აკადემიკოსს.

* * *

საქართველოში სპორტის განვითარების[illegible], ახალგაზრდა და მაღალი რანგის სპორტსმენთა აღზრდა-მომზადების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის, სპორტის დღესთან დაკავშირებით „საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის“ საპატიო წოდება მიენიჭათ:

ვახტანგ სულაკაძეს – ქ. ქუთაისის გ. ნიკოლაძის სახელობის ოლიმპიური რეზერვის სპორტული ლიცეუმის მწვრთნელ-მასწავლებელს კრივში;

შაქრო ბერძენიშვილს – თერჯოლის ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელს ჭიდაობაში;

იოსებ მაისურაძეს – წყალბურთელთა გუნდის მწვრთნელს;

ზაურ სახვაძეს – ვეტერან სამბისტს, სამბოს ფედერაციის მწვრთნელს;

ზაზა ჯიბლაძეს – ქ. ბათუმის ბავშვთა და მოზარდა ჭიდაობის სკოლის მწვრთნელ-მასწავლებელს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში;

მიხეილ მურაჩაშვილს – მწვრთნელს სამბოში, ქარელის რ-ის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს.

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 10 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

## ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 129 დღე გვაშორებს

**8–24 თებერვალი 2002 წ.**

# ძიუდოისტთა ორმა ტურნირმა 16 მედალი მოგვიტანა

ამ დღეებში მაჰაჭყალასა და ბაქოში თითქმის ერთდროულად ჩატარდა ძიუდოისტთა ორი საერთაშორისო ტურნირი. მაჰაჭყალაში ჩვენი ეროვნული ნაკრები მონაწილეობდა უფროსი მწვრთნელის შოთა ხაბარელის ხელმძღვანელობით. სამივლინებო ხარჯები გაიღო ფედერაციამ. ეს იყო მურად კაზამბეკოვის სახელობის საერთაშორისო ტურნირი. საინტერესოა, რომ ყველაზე პრესტიჟულ, აბსოლუტურ წონით კატეგორიაში საქართველოს ორი წარმომადგენელი, ორი ახმეტელი ფალავანი ზურაბ ზვიადაური და ალექსი დავითაშვილი დადგა ტატამზე ერთმანეთის პირისპირ. პირველობა დავითაშვილს ხვდა, სამაგიეროდ, ამ წონაში მოპოვებულ ვერცხლის მედალს ზვიადაურმა 90 კგ-ში ოქროს მედალი შემატა. პირველობა მოიპოვა აგრეთვე თელაველმა გიორგი წმინდაშვილმა, 60 კგ-ში მეორე პრიზიორი გახდა თბილისელი ნესტორ ხერგიანი, 81 კგ-ში მესამე იყო ქუთაისელი გრიგოლ მამრიკიშვილი.

ბაქომ კი 25-ედ უმასპინძლა საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის, გენერალ-მაიორ აზიზ ასლანოვის ტრადიციულ ტურნირს. აქ ჩვენები ახალგაზრდული ნაკრებით წარსდგნენ, რადგან მწვრთნელებმა მიზნად დაისახეს სწორედ ამ ტურნირის შედეგებით დაეკომპლექტებინათ საქართველოს ნაკრები, რომელიც ნოემბერში ევროპის ჩემპიონატში იასპარეზებს უნგრეთში. უფროსებთან ჭიდილში ჩვენმა ახალგაზრდა ფალავნებმა სამი ოქროს და ოთხი ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. პირველი ადგილები დაიკავეს: დედოფლისწყაროელმა ლევან წიკლაურმა (73 კგ), თელაველმა ზვიად ხანჯალიაშვილმა (მძიმე) და ახმეტელმა გიორგი ყიზილაშვილმა (100), მესამე საპრიზო ადგილი ხვდათ: ყვარლელ ელდარ დეგეტაშვილს (60), თბილისელ დავით ბოდაველს, ყვარლელ დავით ქევხიშვილს (ორივე — 73) და მარტყოფელ გრიგოლ შინჯიკაშვილს (81).




ჩვენს დელეგაციას ხელმძღვანელობდა ფედერაციის გენერალური მდივანი ანზორ მარტყოფლიშვილი, ახალგაზრდული ნაკრების უფროსი მწვრთნელია ჯემალ ნათელაშვილი. ტურნირზე საქართველოდან მივლინებული იყო აგრეთვე მსაჯი ს. ფეიქრიშვილი.

**ც. ბაქრაძე**

## მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!

## ოლიმპიადა 2002-ის ბილეთების რეალიზაცია განახლდა

**სოლტ-ლეიკ-სიტში 2002 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ბილეთების დიდი რაოდენობა აშშ-ში მომხდარი ტერაქტების სერიამდე იყო გაყიდული და შემდეგ შეწყდა, რადგან თვით ოლიმპიადის დათქმულ ვადებში ჩატარება გახდა სათუო. სოკ-ის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ არ დაჰყვეს ტერორისტთა მუქარას და ოთხწლეულის მთავარი სპორტული ასპარეზობა სოლტ-ლეიკ-სიტში გეგმის მიხედვით გაიმართება. 3 ოქტომბერს კვლავ განაახლა ბილეთების გაყიდვა იმ პირებზე, ვისაც ტერაქტის დღემდე (11 სექტემბერი) ჰქონდა წარდგენილი განაცხადი საორგანიზაციო კომიტეტში. ორშაბათიდან კი დარჩენილი 70 ათასი ბილეთის ღია გაყიდვაც დაიწყება. უნდა აღინიშნოს, რომ ტერაქტის შემდეგ 30 ათასი ბილეთი სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტებმა თამაშების ორგანიზატორებს უკან დაუბრუნეს.**

## ოლიმპიური ჩემპიონი ვერ გამოვა 2002 წლის თამაშებში

**1998 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ნორვეგიელი სამთომეთხილამურე ხანს-პეტერ ბუროსი მომავალ ოლიმპიადაზე ვერ გამოვა. მიზეზი გახდა კისრის ტრავმა, რომელიც მან წლეულს, ჯერ კიდევ მაისში მიიღო ვარჯიშზე. ოპერაციის მიუხედავად, სპორტსმენის სრული გამოჯანმრთელება გაჭიანურდა.**

## მეგობრები ფრენბურთის ბადესთან

სომხებს და ქართველებს დიდი ხნის სპორტული მეგობრობა აკავშირებთ. ეს ურთიერთობები ამ ბოლო ხანებში გასაგები მიზეზების გამო შესუსტდა. და აი, ამ დღეებში საქართველოს ეწვია სომხეთის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდი. მათი ამხანაგური შეჯიბრება ჩატარდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სპორტული სკოლის დარბაზში. ორრაუნდიანი მატჩი ქართველების სასარგებლოდ დამთავრდა 3:0 (25:22, 25:20, 25:12); 3:0 (25:23, 25:19, 25:21).

მატჩს ესწრებოდა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი, რომელმაც სომხეთის დელეგაციას სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

**ნინო ქავთარაძე**

## ? შეკითხვა „ლელოს“

**შეკითხვა: ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე, რომ ცნობილი მომღერლები ნიაზ დიასამიძე და რობი კუხიანიძე ველოსიპედით აპირებენ ჩასვლას ბათუმში. თქვენ რა იცით ამის შესახებ?**

**პასუხი:** დიახ, ასეთი ინფორმაცია მართლაც გამოქვეყნდა. ჩვენ მისი გადამოწმება საჭიროდ აღარ ჩავთვალეთ, რადგან თავად, ნიაზ დიასამიძემ განაცხადა, რომ: „ეს რობერტას აზრია და არა ჩემი. მან დაიჩემა ველოსიპედებით წავიდეთო, მაგრამ ამისათვის ჩვენ ჯერ მზად არც ვართ. ამის შესახებ ველაპარაკეთ ერთ ჟურნალისტს, ისიც ადგა და პირდაპირ დაბეჭდა, მიდიანო. არადა, ასე გადაწყვეტილად არაფერი გვითქვამს“ (გაზეთი „ახალი ვერსია“ №8).

**შეკითხვა: ვიცით, რომ თბილისში, ვაკის პარკში გაიხსნა „მინი გოლფ-კლუბი“. რა ღირს მომსახურება?**

**პასუხი:** ხსენებულ მისამართზე „მინი გოლფ-კლუბის“ ზღრუბლზე გადაბიჯება ორი ლარი ღირს, თამაში — ათი!

# ქობულეთის საჭადრაკო ფესტივალის ექო

**ამ მშვენიერ საკურორტო ქალაქში ტრადიციულად დამკვიდრდა საერთაშორისო ფესტივალების გამართვა. წლეულსაც, როგორც გასულ წლებში, აქ ბევრი სტუმარი ჩამოვიდა სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, გერმანიიდან. მაგრამ ეს ფესტივალები მხოლოდ უცხოელებისთვის არ ტარდება. ორგანიზატორების მთავარი მიზანია ქართველ მოჭადრაკეებს და განსაკუთრებით ახალგაზრდა მოჭადრაკეებს საშუალება მიეცეთ ზაფხულის პერიოდში დაისვენონ და თანაც არ ჩამოშორდნენ აქტიურ ჭადრაკს. — ითამაშონ უცხოელ თანატოლებთანა, დააგროვონ სატურნირო გამოცდილება, აიმაღლონ ცოდნა.**

ჩვენი ნორჩი მოჭადრაკეები, მათი მწვრთნელები და მშობლები ორგანიზატორების მადლობელნი არიან ამის გამო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციულად ძლიერი მოჭადრაკეები ჩამოდიან სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან, რაც ნამდვილად ხელს უწყობს ჩვენი მოჭადრაკეების კლასის ამაღლებას. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ დიდი ტვირთის მთელი სიმძიმე მხოლოდ რამდენიმე ენთუზიასტს აწვება მხრებზე. როგორც ყოველთვის, ამ ზაფხულსაც ძირითად საორგანიზაციო საკითხებს ზურაბ აზმაიფარაშვილის სახელობის ქობულეთის საჭადრაკო სკოლა აგვარებდა. წლეულს კი მას თბილისის ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სკოლა „მართვე“ (დირექტორი გიორგი ჩოკოშვილი) შეეშველა. საქართველოს განათლების სამინისტრომ სპეციალური პრიზებიც დააწესა გამარჯვებულთათვის, რამდენჯერმე ქობულეთის რაიონის ხელმძღვანელობაც აქტიურად ჩაერთო საორგანიზაციო საკითხებში, აჭარის ტელევიზია ფართოდ აშუქებდა საერთაშორისო ფესტივალის მიმდინარეობას. საორგანიზაციო საკითხებში წვლილი შეიტანა სააქციო საზოგადოება „საქნავთობის“ გენერალურმა დირექტორმა გ. მახარაძემ, ფირმა „კოკა-კოლამ“ და შპს „წყალი მარგებელი“ მონაწილეებს თავიანთი პროდუქციით გაუმასპინძლდნენ.

წლევანდელ ფესტივალს, სამწუხაროდ, პრობლემებიც მრავლად ახლდა... სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ტურნირის მსვლელობისას ორგანიზატორებს სამი შენობის გამოცვლა მოუხდათ. ხოლო იმან, რომ ჩვენი ხალხი ეკონომიკურად გაჭირვებულია, გამოიწვია ფესტივალის მონაწილეთა შემცირება და „გეოგრაფიის“ შეზღუდვა.

მართლია ქობულეთის საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეები ჩამოვიდნენ თბილისიდან, რუსთავიდან, გურჯაანიდან, თელავიდან, ზუგდიდიდან, ფოთიდან, ქუთაისიდან და ა.შ. მათი რაოდენობა სასურველის შორს იყო. თუმცა საბოლოო ჯამში ქობულეთის ფესტივალს პროგრამით გათვალისწინებულ ტურნირებში 300-ზე მეტმა მოჭადრაკემ ითამაშა, ეს მაჩვენებელი საგრძნობლად ჩამორჩება წინა წლების მონაცემებს.

და მაინც, საჭადრაკო ზეიმი შედგა. სპორტსმენებმა კარგი მომზადება გამოავლინეს და მაღალ დონეზე ითამაშეს. საამისო პირობების შესაქმნელად კი ძალლონე არ დაიშურეს ზურაბ აზმაიფარაშვილის სახელობის ქობულეთის ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სკოლის დირექტორმა ამირან ბერძენიშვილმა, ფესტივალის პასუხისმგებელმა მდივანმა თეა თავდიშვილმა და მსაჯმა ოლეგ კარალიძემ.

***ქ. ქობულეთი 2001.5 — 12.08. საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „ქობულეთი“ — 2001 (XIII).*** ***ჭაბუკები. 14 წლამდე:*** 1. კ. ზოგრაბიანი, 2. ო. ზოგრაბიანი (ორივე — ერევანი), 3. ნ. კალანდაძე (ლანჩხ) — 10-10 ქულა; ***12 წლამდე:*** 1. გ. ჩხარტიშვილი, 2. გ. გრიკიკიანი (ორივე — ქობულ) — 7-7. 3. გ. ზოგრაბიანი (ერევანი) — 6.

***13-22.08. 10-14 წლიანთა შორის. საქ. განათლების სამინისტროს ეგიდით. 10 წ. ჭაბუკები:*** 1. ლ. ბრეგაძე (თბ) — 8,5, 2. გიორგი მელიავა (ქუთ) — 7,5, 3. ნ. დავარაშვილი (გორი) — 7; ***გოგონები:*** 1. ნ. მეფარიძე (ქუთ) — 7, 2. ნ. პაიკიძე (თბ) — 6, 3. ქ. წაწალაშვილი (თელავი) — 6-6; ***14 წ. ჭაბუკები:*** 1. შ. აზალაძე (მცხ) — 7, 2. ვ. თევდორაშვილი, 3. ვ. შინჯიაშვილი (ორივე — თბ) — 5,5-5,5; ***გოგონები:*** 1. ქ. მეავია (ლანჩხ) — 7, 2. თ. გახოკიძე (თბ) — 6, 3. მ. მიქაძე (ბათ) — 5,5.

***22-31.08. საქართველოს პირველობა 12-16 წლიანთა შორის. საქ. განათლების სამინისტროს ეგიდით. 12 წ. ჭაბუკები:*** 1. ს. ხაჟალია (სამტრ), 2. ლ. ბრეგაძე (თბ), 3. ბ. ფუტკარაძე (ბათ) — 6,5-6,5; ***გოგონები:*** 1. ე. ზარქუა (თბ), 2. მ. რონიშვილი (საგარ), 3. ს. ნაჭყეპია (სამტრ) — 5-5. 16 წ. ***ჭაბუკები:*** 1. გ. შურღულია (სენაკი), 2. დ. ზარქუა (თბ) — 7-7, 3. დ. ცეცხლაძე (ოზურგ) — 6,5; ***გოგონები:*** 1. ქ. მეავია (ლანჩხ), 2. ნ. ხვედელიძე (თბ), 3. ნ. კალანდაძე (ლანჩხ) — 4-4.

***15-22.08. საჭადრაკო ფესტივალი „მართვე-2001“. 12 წ. ჭაბუკები:*** 1. ლ. ბრეგაძე (თბ), 2. ზ. ფაცია, 3. ა. თოდუა (ორივე — ოზურგ), 4. გ. ჩხარტიშვილი (ქობ) — 5-5; ***გოგონები:*** 1. ქ. წაწალაშვილი (თელავი), 2. ნ. პაიკიძე, 3. ე. ზარქუა (ორივე — თბ) — 4-4.

***24-31.08. საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „მართვე-2001“ (XI). „ა“ ტურნირი. ვაჟები:*** 1. ტ. სააკიანი (ერევანი), 2. დ. ზარქუა (თბ) — 11-11, 3. გ. შურღულია (სენაკი), 4. გ. გამზარდია (ფოთი) — 9-9; ***ქალები:*** 1. ხ. ისკანდეროვა (ბაქო) — 3,5, 2. თ. გახოკიძე (თბ) — 3, 3. რ. ნარმინა (ბაქო) — 2,5; „ბ“ ტურნირი, ***12 წ. ჭაბუკები:*** 1. ს. ბეალავა (სენაკი) — 2. ი. გოგენია (ხობი) — 10-10, 3. თ. ჭკუასელი (ქუთ) — 8; ***გოგონები:*** 1. მ. თევზაძე (თბ) — 4,5, 2. ნ. გვენცაძე (ქუთ) — 4, 3. ე. სიბოშვილი (საგარ) — 1,5.

***1-8.08 საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „მართვე-2001 (XII). „ა“ ტურნირი. ვაჟები:*** 1. ს. ტერელაძე — 6,5, 2. ქ. რუხაია (ორივე — თბ) — 5, 3. თ. ხვედელიძე (ოზურგ) — 4,5; ***ქალები:*** 1. ბ. ხოტენაშვილი (თელავი) — 4,5, 2. ნ. ჯანჯღავა (თბ), 3. ხ. ისკანდეროვა (ბაქო) — 4-4. „ბ“ ტურნირი. ***14 წ. ჭაბუკები:*** 1. დ. ლიპარტია (აბაშა) — 4,5, 2. გ. გამზარდია (ფოთი) — 3, 3. გ. ავეტისიანი (ერევანი) — 2,5. 12 წ. 1. ა. ბუცხრიკიძე — 6,5, 2. ლ. სამნაშვილი — 5,5, 3. გ. ბარიშვილი (სამივე — თბ) — 4. ***10 წ:*** 1. ე. ლალიაშვილი (თბ) — 5,5, 2. ჯაბაროვი (აზერბ), 3. დ. ჭელაშვილი (ქუთ) — 4-4. 8 წ. ***ჭაბუკები:*** 1. გ. ნიკოლაიშვილი — 4, 2. ა. ერვანდიანი — 3, 3. თ. გაბუნია (თბ) — 3. ***50 წ. ზევით:*** 1. გ. პაშაიანი — 4,5, 2. ა. ავეტისიანი (ორივე — ერევანი) — 3,5, 3. დ. ლიბერტი (გერმანია) — 2.

2-16.08. ***საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „ივერია-2001“. „ა“ ტურნირი. ვაჟები:*** 1. თ. მგელაძე (რუსთ) — 6, 2. მ. ჯამაგიძე (თბ), 3. გ. ჩაჩუა (სამტრ) — 5-5; ***ქალები:*** 1. ს. ტერელაძე (თბ) — 4,5, 2. ბ. ხოტენაშვილი (თელავი) — 4, 3. კ. პაშაიანი (ერევანი) — 3. ***„ბ“ ტურნირი. ჭაბუკები. 14 წ:*** 1. დ. ჩოკოშვილი 3,5; 2. ნ. კულიევი (აზერბ.) 2,5; 3. გ. ავეტისიანი (ერევანი) 2; ***12 წ:*** 1. დ. სირბილაძე — 5, 2. გ. ბარიშვილი (ორივე — თბ); ***10 წ:*** 1. ი. მიქელაძე (ფოთი), 2. გ. ჩხარტიშვილი (ქობ) — 5,5, 3. რ. ჯაბაროვი (აზერბ) — 4,5; ***გოგონები:*** 1. ე. გოგლიძე (გორი) — 6, 2. მ. კემულარია (ზუგდ) — 4, 3. ლ. გულიევა (აზერბ) — 3; ***8 წ. ჭაბუკები:*** 1. ვ. ახმედლი, 2. ნ. ახმედოვი, 3. ვ. ასლანოვი (სამივე — აზერბ) — 3-3; ***გოგონები:*** 1. თ. ბერულავა — 4, 2. ნ. ანაკიძე (ორივე — ფოთი) — 3,5, 3. მ. ცისკარიშვილი (თელავი) — 3.




***17-24.08. საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „საქართველო-2001“.*** „ა“ ტურნირი: 1. თ. მგელაძე (რუსთ) — 5,5, 2. ს. ტერელაძე, 3. ნ. ჯანჯღავა (ორივე — თბ) — 4,5-4,5. „ბ“ ტურნირი. ***16 წ. ჭაბუკები:*** 1. გ. ფურცელაძე (გურჯ) — 5, 2. ზ. ჩიქობავა (სენაკი) — 4, 3. ვ. ოკუჯავა (ქუთ) — 2. ***14 წ. ჭაბუკები:*** 1. კ. კვერნაძე (ბათ), 2. გ. იზორია (ზუგდ) — 4,5-4,5; ***12 წ. ჭაბუკები:*** 1. ზ. ფაცია (ზუგ) — 6, 2. პ. ღურწკაია (სენაკი) — 4, 3. ბ. ფუტკარაძე (ბათ) — 3,5; ***გოგონები:*** 1. გ. მიქაძე — 5, 2. თ. ბერიძე (ორივე — ბათ) — 4, ა. ფოცხვერია (სენაკი) — 3,5. ***10 წ. ჭაბუკები:*** 1. ც. ხორავა (ბათ), 2. შ. ჭანტურია (სენაკი), 3. გ. სურმანიძე (ბათ) — 4-4.

***საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „ქობულეთი-2001“ (XIV):*** 1. დ. გევორქიანი — 6, 2. ა. კარაპეტიანი (ორივე — ერევანი) — 4, 3. ნ. კისკეიძე, 4. მ. მარქაროვა (ორივე — თბ) — 1-1.


















ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები



## მზია ჯუღელიდან — უსასრულობისაკენ

1953 წლის 1-16 აგვისტოს ბუქარესტში ჩატარდა მსოფლიოს ახალგაზრდობის ფესტივალი, რომლის პროგრამაში სპორტის სხვადასხვა სახეობაში ასპარეზობებიც შედიოდა. რუმინეთის დედა-ქალაქი საგანგებოდ მოემზადა პლანეტის ახალგაზრდობის სამასპინძლოდ. სწორედ ამ დიდ ფორუმს დაემთხვა ქვეყნის უდიდესი სპორტული არენის „23 აგვისტოს სახელობის სტადიონის“ გახსნა, რომლის ტრიბუნები 80 ათას მაყურებელს იტევს. საგულდაგულოდ მოეწყო სტუმრების მისაღებად სპორტული დარბაზი „ფლორიისკა“, სადაც გაიმართა ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებები. მსოფლიოს რჩეული ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეები ამ სარბიელის თაღქვეშ 5-9 აგვისტოს ასპარეზობდნენ ქალები შეჯიბრებაში ჩაერთნენ 7 აგვისტოდან.

ტრავმა მზია ჯუღელს ჯერ კიდევ არ ჰქონდა საბოლოოდ მოშუშებული, რასაც ახალი ხიფათი დაემთხვა – მზია აუზზე კოშკურიდან გადმოხტა და დაბალ ტრამპლინზე კოჭი ჩამოჰკრა. რა უნდა ექნა, თა-



*1953 წ. საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა დელეგაცია ჩინეთში*

ნაც გუნდის ლიდერი და კაპიტანი იყო. მიუხედავად ყველაფრისა, თავი არ დაუზოგავს. მისთვის ძირითად იარაღზე – ბჯენით ხტომებში ამჯერად ვერცხლის მედალს დაეუფლა, დანარჩენ იარაღებზე უძლიერესთა ექვსეულში მოხვდა, რითაც დიდი წვლილი შეიტანა გუნდურ წარმატებაში, სადაც მზიას და მის მეგობრებს ოქროს მედლები ხვდათ, ჯგუფურ ვარჯიშშიც პირველები იყვნენ.

***მზია ჯუღელი:*** „ეს იყო დაუვიწყარი დღეები, ახალგაზრდობის ნაღდი დღესასწაული, ბევრი მეგობარი შევიძინეთ, რომლებთანაც შემდგომშიც არ გაგვიწყვეტია ურთიერთობა. ჩემს გარდა, საქართველოდან ფესტივალზე იყვნენ კალათბურთელები, მოჭიდავეები, მძლეოსნები“...

იმავე წელს ჩინეთიდან მიიღეს მიწვევა. ტანმოვარჯიშეებს ახლა აკრობატებიც დაემატნენ. ამ უდიდეს ქვეყანაშიც ის-ის იყო ფეხს იდგამდა ტანვარჯიშული სახეობები და გამოცდილების გასაზიარებლად, ამაყი აზიელები, სულაც არ თაკილობდნენ დახმარებას ასევე დიდი და მეგობარი ქვეყნიდან. საერთოდ, ეს საბჭოთა სპორტული დელეგაცია პირველი იყო, ვინც საბჭოეთიდან ჩინეთში ჩავიდა. ჩინელები სოციალიზმის გზას ადგნენ სტალინის დიდი მეგობრის მაო ძედუნის ხელმძღვანელობით. გრანდიოზული შეხვედრა მოუწყვეს სტუმრებს აეროპორტში. ქალაქებში კი სადაც, თითო საჩვენებელი გამოსვლა იგეგმებოდა, ზოგჯერ ორ-სამჯერ უწევდათ თავიანთი ოსტატობის დემონსტრირება. ტელევიზია მაშინ ჯერ კიდევ არ აერთიანებდა მსოფლიო სპორტულ სამყაროს და ბევრი ჩინელისთვის მაღალი სპორტული ოსტატობის ხილვა „ახალი ხილი“ იყო. საბჭოთა დელეგაციაზე უძველესი კულტურის ქალაქებმაც კი განსაკუთრებული შთაბეჭდილება მხოლოდ იმით მოახდინა, რომ ყველგან სიბინძურე, ანტისანიტარია სუფევდა, არ მუშაობდა კანალიზაცია. პეკინის გარდა, ვიწრო ქუჩებში ყველგან ველოსიპედებით და რიქშებით დადიოდნენ. მაგრამ ყველგან იგრძნობოდა, რომ სოციალიზმის მშენებელ ხალხს მიზანში სწორედ საყოველთაო სისუფთავის დამყარება დაესახათ – ასეულ ათასობით ადამიანი მოდებული იყო ქუჩებს, ეზოებს, სკვერებს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს...

***მზია ჯუღელი:*** „ჩვენი სტუმრობა დაემთხვა ჩინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დღესასწაულს. ალბათ, თავიდანვე ასე იყო ჩაფიქრებული. ზეიმზე მაო ძედუნის სამთავრობო რეზიდენციაში ჩვენც მიგვიწვიეს. ქვეყნის მეთაური და ჯოუ ენლაი მეუღლეებითა და ოჯახის წევრებით შეგვეგება საბჭოთა სტუმრებს. იქვე გაიმართა მეგობრული სადილი, სალამოს კი დელეგაცია დიდ ზეიმზე მიგვიპატიჟეს. მეორე დღეს ჩინეთის კედელიც გვაჩვენეს. სუფრასთან, სადაც კი მოვხვდებოდით, მასპინძლები ჩვენს გაკვირვებას ეროვნული კერძების სიუხვით ცდილობდნენ, სულ მცირე 13 დასახელების საჭმელი უნდა გვეგემა. მენიუ თითქმის ყველგან ერთნაირი იყო. ჩინური კედლის შემდეგ დაგვათვალიერებინეს ეროვნული პარკი, ულამაზესი ტბა, გაგვასეირნეს ბორნით. გამოგიტყდებით და, აზიური თავაზიანობით შეზავებული მასპინძლობა, რომელიც თვენახევარი გაგრძელდა, ცოტა მოსაწყენ-მომაბეზრებელიც კი გახდა, გაუთავებელი გამოსვლებითაც საკმაოდ დავიღალეთ. აქვე გეტყვით, რომ ჩინეთში, მეორედ ჩავედით 1957 წელს. ამჯერად მხოლოდ საქართველოს სპორტული დელეგაცია მიგვიწვიეს გიორგი ჭილაიას ხელმძღვანელობით. ახლა უკვე ჩვენი, ქართველების რძალი გალინა მინაიჩევა – შარაბიძეც გვახლდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ამჯერად სულ სხვანაირი ვიხილეთ ქალაქები – სუფთა, გალამაზებული, გაევროპულებულები, კანალიზაციაც მუშაობდა. ვინც მეორედ ჩავედით, ნათესავებს გვეძახდნენ. ასეთია წესი: „მეორედ გამხარებელი შორეული სტუმარი, უკვე ნათესავიას“ – გვეუბნებოდნენ. ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემს შორეულ ნათესავებთან მესამედ აღარ მომიწია შეხვედრა“...

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

*დასაწ. იხ. „ლელო“ №40.... 76.*

*გაგრძელება იქნება*

## მთის პრობლემები საერთაშორისო ყურადღების ცენტრშია



მთები და მთიანი ტერიტორიები, რომლებიც წარმოადგენენ ცხოველმყოფელობის ძლიერ წყაროს და შეიცავენ განვითარების უშრეტ მარაგს, უკანასკნელ წლებში მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის შედეგად გამოწვეულმა დეგრადაციულმა პროცესებმა მსოფლიო საზოგადოებრიობის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოაქცია. მთები და მთის პრობლემები გაერო-მ 21-ე საუკუნის გლობალურ პრიორიტეტად აღიარა, ხოლო 2002 წელი მთის საერთაშორისო წელიწადად გამოაცხადა და ამ თარიღის აღსანიშნავად დიდი და ყოვლისმომცველი პროგრამა შეიმუშავა.

სწორედ ასეთ ღონისძიებათა რიცხვს მიეკუთვნება ამ დღეებში ქ. ვლადიკავკაზში გამართული საერთაშორისო კონფერენცია „მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარება: რეგიონალური თანამშრომლობისა და მთიანი რაიონების რეგიონალური პოლიტიკის პრობლემები“. კონფერენცია უაღრესად წარმომადგენლობითი იყო: მასში მონაწილეობა მიიღო დსთ-ში შემავალი მთიანი ქვეყნების, აგრეთვე იტალიის, საფრანგეთის, ნეპალის 200-მდე სპეციალისტმა და მეცნიერმა, სახელისუფლო სტრუქტურის წარმომადგენლებმა.

კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს მთიანი რეგიონების ბუნებრივი და სოციალური სისტემების განვითარების პრობლემები და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სპორტის მთის სახეობათა: ალპინიზმის, მეკლდეურობის, სამთო-სათხილამურო და სამთო ტურიზმის განვითარების პერსპექტივებს კავკასიაში.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს წარმომადგენლობაც. საქართველოს მთის მოყვარულთა კავშირი და საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაცია წარმოდგენილი იყო კონფერენციაზე 4 დელეგატით და 3 მოხსენებით.

კონფერენციაზე დადასტურდა, რომ მთიან რეგიონებში პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამეურნეო სფეროებში შექმნილი საკმაოდ რთული მდგომარეობა შეიძლება დაძლეული იქნას მხოლოდ სახელმწიფოთა, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ფართო საზოგადოებრიობისა და მთებში მცხოვრები მოსახლობის ერთობლივი და კოორდინირებული ძალისხმევით. თავის დადგენილებაში კონფერენციამ მოუწოდა ყველა მთიანი ქვეყნის მთავრობებს ეროვნულ დონეზე გაიაზრონ და გააანალიზონ თავიანთი ქვეყნების მთიანი რეგიონების წინაშე წარმოშობილი პრობლემები, რაც მთავარია, შედეგიანად იმოქმედონ ამ პრობლემების დასაძლევად.

ვიმედოვნებთ, რომ საქართველო, როგორც კავკასიის ცენტრალური მთიანი ქვეყანა, უფრო აქტიურად ჩაერთვება მთის გადარჩენისკენ მიმართულ ქმედებათა საერთაშორისო ფერხულში და ამით ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის მთიანი ტერიტორიების აღორძინებასა და მდგრად განვითარებას.

**ბიჭი ქართველიშვილი,**
საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი.

## 10 ოქტომბერს გადაწყდება



10 ოქტომბერ. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია (ფილა) საბოლოოდ გადაწყვეტს თუ სად და როდის ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ, თავისუფალ და ქალთა ჭიდაობაში. შეგახსენებთ, რომ ეს ასპარეზობა 26-29 სექტემბერს უნდა გამართულიყო ნიუ-იორკში, მაგრამ ჩაიშალა განხორციელებული ტერაქტების გამო. ამერიკის ფედერაცია ფილა-ს სთავაზობს ორ ვარიანტს — 6-9 დეკემბერი ისევ ნიუ-იორკი, ან რომელიმე სხვა ქვეყანა — 2003 წელი.

## ნომრიდან ნომრამდე

- **მოსკოვში, კრემლის სასახლეში დასრულდა მსოფლიოში პრესტიჟული ტურნირი სპორტულ ცეკვებში — „მსოფლიოს თასი — 2001“. დუეტში ადგილები ასე განაწილდა 1. ჰააპალაიანენი — სუტარი (ფინეთი), 2. კილიკი — კარტუნენი (დიდი ბრიტანეთი), 3. რიუპინი ხვოროვა (რუსეთი).**
- **2000 წლის** ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა იაპონელმა ხაოკო ტაკახასიმ ქალთა მარათონში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ბერლინში, გაირბინა რა დისტანცია 19 წუთსა და 44 წამში. აღსანიშნავია, რომ ეს იყო ტაკახასის პირველი სტარტი სიდნეიში ოლიმპიადის შემდეგ. ადრინდელი რეკორდი 2 წლის წინათ დაამყარა ნიგერიელმა ტეგლა ლორუპმა.
- **ერევანში დანიშნული მსოფლიოს ჩემპიონატი უშუში გადაიდო — 3 ოქტომბრის ნაცვლად ჩატარდება 1 ნოემბერს. მიზეზად სახელდება აშშ-ის მოსალოდნელი თავდასხმა ავღანეთზე ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარებასთან დაკავშირებით. ჩემპიონატის გადატანა სოკ-მა და საერთაშორისო ფედერაციამ მოითხოვა.**
- **საფრანგეთის** სპორტის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ რუსი მორბენლის ოლგა ეგოროვას მიმართ წაყენებული ყველა ბრალდება მოხსნილია. ეგოროვა იმხილებოდა აკრძალული პრეპარატების მიღებაში, რაც საბოლოოდ არ დადასტურდა. წლეულს ამ სპორტსმენმა 5000 მეტრზე რბენაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

## სტუდენტური სპორტი

### პედაგოგები და იურისტები სპორტულ მოედნებზე

საქართველოს სპორტის აკადემიაში კარგი ტრადიციაა დამკვიდრებული. ყოველწლიურად აკადემიის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანატისა და სპორტული კლუბის თაოსნობით იმართება აკადემიის პირველკურსელთა სპარტაკიადა. შეჯიბრებები წლეულსაც, სექტემბრის დამლევს ჩატარდა. პედაგოგიური, დაწყებითი სამხედრო საქმისა და ფიზიკური აღზრდის და იურიდიული ფაკულტეტის 2-2 ჯგუფის 150 სტუდენტი სპორტის ხუთ სახეობაში (მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, მკლავჭიდი, მინი ფეხბურთი და ტყვიის სროლა) გაეჯიბრა ერთმანეთს.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა პედაგოგიური ფაკულტეტის I ჯგუფმა. მეორე და მესამე ადგილები იურისტების I და II ჯგუფებს ერგოთ. სპორტულ სახეობათა მიხედვით განსაკუთრებული სიჩაუქე მომავალი მასწავლებლების I ჯგუფმა გამოიჩინა. მძლეოსნობაში, მინიფეხბურთში, ტყვიის სროლასა და მკლავჭიდში მომავალ პედაგოგებს ბადალი არ ჰყავდათ. მაგიდის ჩოგბურთის ტურნირი იურიდიული ფაკულტეტის I ჯგუფის სტუდენტებმა მოიგეს.

ინდივიდუალურ პაექრობებში განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს – მძლეოსნობაში სამხედრო ფაკულტეტის სტუდენტმა პაატა ობგაიძემ (იგი ორ დისციპლინაში იყო ყველაზე ძლიერი, 60 მეტრზე რბენაში – 7,2 წმ. და სიგრძეზე ხტომაში – 5,27 მ). ბირთვის კვრაში ყველას აჯობა იურიდიული ფაკულტეტის პირველკურსელმა გორდა გუჯარაიძემ (11 მეტრი 55 სმ). მაგიდის ჩოგბურთში საუკეთესო იყო იურისტი გია იაკობაშვილი. ტყვიის სროლაში ზაქარია მიშველაშვილმა 48 ქულა მოაგროვა 50 შესაძლებლიდან.

აღსანიშნავია, რომ ვინც სპორტული ფაკულტეტების სტუდენტები არ არიან, შედეგებიდან გამომდინარე სპორტის სხვადასხვა სახეობაში აკადემიის ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატები გახდნენ.

სტუდენტთა სპარტაკიადას მსაჯებად მოემსახურნენ აკადემიის მწვრთნელთა ფაკულტეტის სტუდენტები.

**საბა ლომინაძე**

## ერიქსონი შემადგენლობას ასახელებს

**ინგლისის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ერიქსონმა დაასახელა შემადგენლობა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს 6 ოქტომბერს ჩემპიონატის შესარჩევ დასკვნით შეხვედრაში საბერძნეთის ნაკრების წინააღმდეგ.

***მეკარეები:*** დევიდ სიმენი (არსენალი), ნაიჯელ მარტინი (ლიდსი), რიჩარდ რაიტი (არსენალი).

***მცველები:*** გარი ნევილი (მანჩესტერი), ფილ ნევილი (მანჩესტერი), რიო ფერდინანდი (ლიდსი), დენი მილსი (ლიდსი), ეშლი კოული (არსენალი), ჯეიმს კარაგერი (ლივერპული), გარეტ საუტგეიტი, უგო ეჰიოგუ (მიდლსბრო), მარტინ კესუნი (არსენალი).

***ნახევარმცველები:*** დევიდ ბექჰემი (მანჩესტერი), პოლ სქოულზი (მანჩესტერი), სტივენ ჯერალდი (ლივერპული), ნიკ ბარმბი (ლივერპული), ოუენ ჰარგრივზი (ბაიერნი), სტივ მაკმანამანი (რეალი), ფრენკ ლემპარდი (ჩელსი), დენი მერფი (ლივერპული), ტრევორ სინკლეირი (ვეტს ჰემი).

***თავდამსხმელები:*** რობი ფაულერი (ლივერპული), ემილ ჰესკი (ლივერპული), ენდი კოული (მანჩესტერი), ტედი შერინგემი (ტოტენჰემი).

## იტალიელთა შემადგენლობა

**იტალიელთა** მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ დაასახელა ის 22 ფეხბურთელი, რომლებიც 6 ოქტომბერს პარმაში მონაწილეობას მიიღებენ უნგრეთის წინააღმდეგ შეხვედრაში.

***მეკარეები:*** ჯანლუკა ბუფონი (იუვენტუსი), ფრანჩესკო ტოლდო (ინტერი).

***მცველები:*** დანიელე ადანი (ფიორენტინა), ვალერიო ბერტოტო (უდინეზე), ფაბიო კანავარო (პარმა), მარკ იულიანო (იუვენტუსი), მარკო მატერაცი (ინტერი), პაოლო მალდინი (მილანი).

***ნახევარმცველები:*** დემეტრიო ალბერტინი (მილანი), ფრანჩესკო კოკო (ბარსელონა), ლუიჯი დი ბიაჯო (ინტერი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), სტეფანო ფიორე (ლაციო), ჯენარო გატუსო (მილანი), ჯანლუკა პესოტო (იუვენტუსი), დამიანო ტომაზი (რომა), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი).

***თავდამსხმელები:*** ვინჩენცო მონტელა (რომა), ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი), მარკო დელვეკიო (რომა), ფილიპო ინძაგი (მილანი), ფრანჩესკო ტოტი (რომა).

## მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

## რუმინეთი – საქართველო

# ბუქარესტში პრესტიჟისთვის

საქართველოს ეროვნული ნაკრები რუმინეთშია. ქართველთა ლაშქარი სასტუმრო „პლაზა კრონაში" დაბინავდა. ალექსანდრე ჩივაძის ოცეულს ორი ფეხბურთელი გამოაკლდა. შოთა არველაძე შოტლანდიაში დარჩა, გიორგი გახოკიძემ ბოლო მატჩში ტრავმა მიიღო და არც ის ჩავიდა რუმინეთში. გარკვეული პრობლემები აქვთ „დანდის" ორ ჩვენებურ ლეგიონერს ზურაბ ხიზანიშვილს და კაპიტანს გიორგი ნემსაძეს, ერთს მუხლის ტრავმა აწუხებს, მეორე „აბერდინთან" მატჩში მეტოქის მცველმა კომაში ჩააგდო. საბედნიეროდ, ხიზანიშვილის ტრავმას გართულება არ მოჰყოლია და ზურაბი ახლა თავს კარგად გრძნობს. გუნდში საბრძოლო განწყობაა და მწვრთნელები ჩვენთვის სასურველ შედეგს იმედოვნებენ.

თავისი საზრუნავი აქვს ქართველების მასპინძელს და მეტოქეს რუმინეთის ნაკრებს. გეორგე ჰაჯის განკარგულებაში ოთხი ძირითადი მცველიდან ერთიღაა სალსალამათი, გეორგე პოპესკუ. დისკვალიფიცირებულ კოზმინ კონტრას და კრისტიან ჩავუს ტრავმის გამო ფილიპესკუ მიემატა. თუმცა ეს სულაც არ ამცირებს ბალკანელთა ძალას. გუნდში ბევრია ახალწვეულიც.

***ეროვნულ ნაკრებთა მატჩი ხვალ „სტიაუას" სტადიონზე 23 საათსა და 45 წუთზე დაიწყება.*** ერთი შეხედვით, სტუმართა ნაკრების შემადგენლობა უფრო სტაბილურია, ვიდრე მასპინძლებისა, სამწუხაროდ, ჩვენ ტრადიციულად გვიჭირს რუმინელებთან თამაში, შესარჩევ ეტაპზე შინ ერთხელ უკვე დავმარცხდით, რამდენიმე წლის წინ კი ბალკანეთზე ამხანაგური მატჩიც წავაგეთ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე მატჩი რთული იქნება. რუმინელებს, მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფში მეორე ადგილი განაღდებული აქვთ, მოტივაცია მაინც დიდია, თუ მოიგეს პირველ ადგილის დაკავების შანსი კიდევ რჩებათ. ჩვენი გუნდისთვის ხვალინდელი შეხვედრა პრესტიჟის საქმე უფროა. ჩივაძემ ნაკრებს რწმენა შემატა და ზედიზედ მეოთხე მატჩის მოგება ან თუნდაც ფრე რუმინეთში, შესანიშნავი შედეგი იქნება მწვრთნელებისთვისაც და ფეხბურთელებისთვისაც, მომავლის პერსპექტივისთვის, რა თქმა უნდა.

გავეცნოთ შემადგენლობებს. ***საქართველოს ნაკრები — მეკარეები:*** დავით გვარამაძე (ტორპედო, ქუთაისი, საქართველო), გრიგოლ ჭანტურია (დინამო, ბათუმი); ***მცველები:*** ზურაბ ხიზანიშვილი (დანდი, შოტლანდია), კახა კალაძე (მილანი, იტალია), ოთარ ხიზანეიშვილი (როსტსელმაში, რუსეთი), ედიკ საჯაია (ტორპედო, მოსკოვი, რუსეთი), რევაზ ქემოკლიძე (ტორპედო, ქუთაისი, საქართველო), ალექსანდრე რეხვიაშვილი (სკონტო, ლატვია); ***ნახევარმცველები:*** გიორგი ნემსაძე (დანდი, შოტლანდია). გოჩა ჯამარაული (ციურიხი, შვეიცარია), გიორგი ქინქლაძე (დერბი, ინგლისი), ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი (ორივე — ფრაიბურგი, გერმანია), თემურ ქეცბაია (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), რატი ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლადო ბურდული (დინამო, თბილისი); ***თავდამსხმელები:*** მიხეილ ყაველაშვილი (ციურიხი, შვეიცარია), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია).

***რუმინეთის ნაკრები. მეკარეები:*** ბოგდან სტელია (სალამანკა, ესპანეთი), ბოგდან ლობონტი (დინამო, ბუქარესტი), ბოგდან ვინტილია (ნაციონალი), ***მცველები:*** დანიელ კირიტა (დინამო, ბუქარესტი), ფლორენტინ დუმიტრუ, იულიან მიუ (ორივე — სტიაუა), ადრიან იენჩში (რაპიდი, ბუქარესტი), გეორგე პოპესკუ (ლეჩე, იტალია), დან ლაკუსტა (ასტრა); ***ნახევარმცველები:*** ტიბერიუ გიოანე (დინამო, კიევი, უკრაინა), ფლორინ პარვუ (დინამო, ბუქარესტი), დორინელ მუნტიანუ (ვოლფსბურგი, გერმანია), მიჰაი ტარარახე (გრასჰოპერი, შვეიცარია), ლაურენტიუ როსუ (ნუმანსია, ესპანეთი);

***თავდამსხმელები:*** ადრიან ილიე (ვალენსია, ესპანეთი), ადრიან მუტუ (ვერონა, იტალია), დანიელ პანჩუ (რაპიდი, ბუქარესტი), ადრიან მიჰალჩია (დინამო, ბუქარესტი), მარიუს ნიკულაე (სპორტინგი, პორტუგალია);

### VIII ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 7 | 5 | 2 | 0 | 15-3 | 17 |
| რუმინეთი | 7 | 5 | 0 | 2 | 9-6 | 15 |
| საქართველო | 7 | 3 | 0 | 4 | 11-11 | 9 |
| უნგრეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 14-12 | 8 |
| ლიტვა | 8 | 0 | 2 | 6 | 3-20 | 2 |

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

UEFA UNDER-21 Championship

ეროვნულ ნაკრებთა მატჩამდე ***დღეს, 5 ოქტომბერს, 19 საათზე*** ერთმანეთს რუმინელთა და ქართველთა ახალგაზრდული ნაკრებები შეერკინებიან და ჯგუფში ბოლო მატჩს გამართავენ. ორივე გუნდს დიდი ხანია ჯგუფში პირველობის შანსი აღარ აქვს, მატჩი უეფას სატურნირო ეტიკეტის დაცვა იქნება მხოლოდ. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური ჩვენს ჯგუფში იტალიამ მოიპოვა. ვახტანგ კოპალეიშვილის შეგირდები ბუქარესტიდან ნახევარი საათის სავალზე სასტუმრო „ლებადაში" დაბინავდა.. გუნდის შემადგენლობა ასეთია:

***მეკარეები:*** გიორგი ლომაია (ლოკომოტივი), ზურაბ მამალაძე (დინამო);

***მცველები:*** ლაშა სალუქვაძე (ლოკომოტივი), ვლადიმერ კაკაშვილი (ლოკომოტივი, რუსეთი), ილია კანდელაკი (დინამო), ალექსანდრე ინწკირველი (ვიტ ჯორჯია), ზვიად ლაბაძე (გორდა), რამაზ სვანაძე (დინამო), დავით ზაზაშვილი (ვიტ ჯორჯია);

***ნახევარმცველები:*** დავით კვირკველია (კოლხეთი), დავით სირაძე (ლოკომოტივი), კახა ქაცარავა (ბათუმის „დინამო"), გიორგი დეკანოსიძე (ფიურტი, გერმანია);

***თავდამსხმელები:*** გიორგი ადამია (ვიტ ჯორჯია), რომან ახალკაცი (ტორპედო), რევაზ გოცირიძე (გორდა), კახა წუწუნავა (ვიტ ჯორჯია), ცეზარ ხუროძე (გორდა);

### VIII ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 7 | 6 | 1 | 0 | 14-3 | 19 |
| რუმინეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 11-4 | 13 |
| უნგრეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 10-9 | 12 |
| ლიტვა | 8 | 2 | 0 | 6 | 5-17 | 6 |
| საქართველო | 7 | 1 | 0 | 6 | 8-15 | 3 |

## მსაჯები, ინსპექტორები

### რუმინეთი — საქართველო

(ეროვნული ნაკრებები)

6 ოქტომბერი. სტადიონი „სტიაუა"
2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

ეროვნულ ნაკრებთა ხვალინდელ მატჩს სლოვაკი მსაჯები გაუძღვებიან. მთავარი მსაჯია ლუბოშ მიჩელი, ასისტენტები იგორ სრამკა, მარიან რუზბარსკი, მეოთხე მსაჯია ლადისლავ გადოში. ფიფას დელეგატია ანდრეს ბერლინკერი (ესპანეთი), მსაჯთა ინსპექტორია პეტერ მიკელსენი (დანია).

**5 ოქტომბერი. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. „კონტრიჩენის" სტადიონი**

ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩს მოემსახურებიან სლოვენიელი მსაჯები. არბიტრთა ოთხეული — მთავარი მსაჯი მილან მიტროვიჩი, ასისტენტები ივან ზუნიჩი, სილვო ბოროშაკი, მეოთხე მსაჯი რობერტ ზირშტეინი.

## ბავშვთა ფეხბურთი

### სლავა მეტრეველის თასის გათამაშება

### ფინალი




ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 2 ოქტომბერი.

**დერბი (თბილისი) — ავაზა (თბილისი) 0-3**

***დერბი:*** აბუთიძე, ვ. კერესელიძე (გელაშვილი 43), კედია, ოქრუაშვილი, კაკაბაძე, მოდებაძე, ტომარაძე (ფოფხაძე 30), ბარამიძე, კანდელაკი (ხუციშვილი 29), დევდარიანი (ფირცხალავა 63), ხოხონეიშვილი. (მთავარი მწვრთნელი. გელა გომელაური, მწვრთნელი გურამ გვანცელაძე).

***ავაზა:*** გაგუა (ალექსანიანი 65), ალიბეგაშვილი (თავბერიძე 65), მაჭავარიანი, დეკანოსიძე (ნატროშვილი 65), ს. ბიბილაშვილი, ჩირიკაშვილი, გ. ბიბილაშვილი, ხარაძე (ოდიშვილი 36), გულაშვილი (ქავთარაძე 52), ნ. კერესელიძე, კობახიძე. (მთავარი მწვრთნელი ანზორ ზუკაკიშვილი).

***გოლები:*** 0-1 ჩირიკაშვილი (5), 0-2, 0-3 კობახიძე (42,54).

***გააფრთხილეს:*** ვ. კერესელიძე, ქავთარაძე.

***მსაჯი:*** ა. შალამბერიძე (ქუთაისი).

## პირველი ლიგა, IX ტური

| | |
|---|---|
| კოლხეთი (ხ) — თორი | 4-1 |
| ლოკომოტივი (სამტრ) — დინამო2 | 1-2 |
| ლოკომოტივი3 — ცხინვალი | 3-0 |
| თსუ — ლაზიკა | 2-1 |
| ქობულეთი — მერანი2 | 3-0 |
| მილანი — დილა | 0-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 9 | 7 | 2 | 0 | 22-1 | 23 |
| ქობულეთი | 9 | 6 | 1 | 2 | 10-6 | 19 |
| მილანი | 9 | 5 | 3 | 1 | 18-5 | 18 |
| დინამო2(თბ) | 9 | 5 | 0 | 4 | 11-10 | 15 |
| ცხინვალი | 9 | 4 | 2 | 3 | 16-12 | 14 |
| თსუ | 9 | 4 | 2 | 3 | 13-9 | 14 |
| ლოკომოტ.3 | 9 | 3 | 4 | 2 | 15-13 | 13 |
| კოლხეთი(ხ) | 9 | 2 | 5 | 2 | 8-8 | 11 |
| ლაზიკა | 9 | 2 | 2 | 5 | 8-18 | 8 |
| მერანი2 | 9 | 2 | 1 | 6 | 5-13 | 7 |
| ლოკ.(სამტ) | 9 | 1 | 2 | 6 | 6-16 | 5 |
| თორი | 9 | 1 | 0 | 8 | 5-25 | 3 |

## თასი — „ავაზას"

ვერ მოიგო „დერბიმ" დერბი. თბილისური გუნდების ფინალური შერკინება ძველი და სახელოვანი „ავაზას" საფეხბურთო სკოლის გუნდის სრული უპირატესობით წარიმართა. ავაზელებმა პირველივე სერიოზული შეტევა გოლით დაასრულეს. ირაკლი ჩირიკაშვილმა თანაგუნდელთა საჯარიმო დარტყმა თავურით გოლად აქცია. მერე კი სანდრო კობახიძემ იყოჩაღა. მისმა ორმა გოლმა საბოლოოდ დააფიქსირა „ავაზას" გამარჯვება. ანზორ ზუკაკიშვილის 14 წლის ყმაწვილმა შეგირდებმა ჩინებულად იასპარეზეს. სლავა მეტრეველის თასს ღირსეული მფლობელი ჰყავს.

*ელდარ მალხაზიშვილის ფოტო*

# „ვაკე-91" 10 წლისთავს ღირსეულად შეხვდა

ეს საფეხბურთო კლუბი 1991 წელს დაარსდა (პრეზიდენტი კოტე დოლიძე, დირექტორი ზაზა დიდებაშვილი, მთავარი მწვრთნელი გურამ პავლიაშვილი). ამჟამად აქ 12 მწვრთნელი ემსახურება სასკოლო ასაკის ნორჩ ფეხბურთელთა აღზრდას.

კლუბის ფეხბურთელებმა იმთავითვე გამოიჩინეს თავი როგორც შინ, ისე უცხოეთში გამართულ ტურნირებში. მონაგრის ნუსხაში საზღვარგარეთ მოპოვებული არაერთი წარმატებაა შესული. წლეულს ვაკელებმა მეშვიდედ იასპარეზეს შვეცია-დანიაში იუნიორთა მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატში. შვეციაში, სადაც ჩვენები გამოდიოდნენ, მსოფლიოს 97 ქვეყნიდან 1200-ზე მეტი გუნდი მონაწილეობდა (1984-1990 წლებში დაბადებულნი). ქვეჯგუფებიდან 2-2 გუნდი აგრძელებდა ასპარეზობას. ფინალური ეტაპი ჩატარდა ცნობილ „ულევის"

**იხ. მე-5 გვ.**



*სურათზე: «ვაკე — 91». მარცხნიდან I რიგში: ბექა მჟავია, ლაშა ნიკოლაიშვილი, ტატო სოფრომაძე, ნიკა აფციაური, ოთარ ყვირალაშვილი, გიორგი მორგოშია, გიორგი ჯამარაული, ცოტნე ცერცვაძე, ირაკლი ბურჭულაძე; II რიგში: ზურიკო ახვლედიანი, სანდრო ყურაშვილი, გიორგი კვიჟიძე, გიორგი ჯაში, მამუკა ბერძენიშვილი, დათო ნიკოლაიშვილი, გიორგი იაშვილი.*

*III რიგში: ზაზა დიდებაშვილი ს.კ. „ვაკე-91" — „ვიტ-ჯორჯიას" დირექტორი, გურამ სოფრომაძე, ილია რეხვიაშვილი, ლაშა შათირიშვილი, ახიკო შადური, ლევან ნიჟარაძე, გუგა დალბაშვილი, თემურ გულუა, სანდრო როჭიკაშვილი, გიორგი ონიანი, ალეკო წიკლაური, ს.კ. „ვაკე-91" — „ვიტ-ჯორჯიას" მწვრთნელი მიხეილ აბეჩხრიშვილი*

*ზაზა დოდაშვილის ფოტო*

## საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

### რეგიონული ლიგა ● VII ტური

### აღმოსავლეთის ზონა

გორდა2 — თბილისი 3-0
ვარძია — ალაზანი 0-0
ოლიმპიკი — აკადემია 0-2
ვიტ ჯორჯია2 — მესხეთი 1-0
ზოოვეტი — ჯავახი 6-1
ივერია — ცხუმი 4-0
მაუდი — მერანი 3-0
დინამო3 — ჭაბუკიანი 0-0
ლიახვი — მრეტები 4-1
მცხეთა — კრწანისი 3-1

### ფეხბურთის გამაერთიანებელი ძალა

ცხინვალიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, თამარაშენში ახალი სტადიონი გაიხსნა. ცერემონიას საზეიმო ელფერი დაჰკრავდა. აღიმართა ქართული დროშა. გაიმართა რეგიონული ლიგის კალენდარული შეხვედრა „ლიახვსა“ და „მრეტებს“ შორის. „ლიახვში“ გაერთიანებულნი არიან ქართველი და ოსი ახალგაზრდები. ცხინვალის რეგიონის ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის, ქურთასა და ერედვის თემების გამგეობების, შიდა ქართლის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის ადმინისტრაციის, საქართველოსა და თბილისის ფეხბურთის ფედერაციების შეთანხმებულმა მუშაობამ უზრუნველყო თამარაშენის სტადიონის კეთილმოწყობა გუნდის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი საორგანიზაციო საკითხების დროული გადაწყვეტა. ეს საფეხბურთო კლუბი ეჭვგარეშეა ხელს შეუწყობს ქართველებისა და ოსების მეგობრული თანაცხოვრების აღდგენას.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზოოვეტი | 5 | 5 | 0 | 0 | 14-2 | 15 |
| მცხეთა | 6 | 5 | 0 | 1 | 12-3 | 15 |
| ალაზანი | 6 | 4 | 1 | 1 | 28-7 | 13 |
| ივერია | 6 | 4 | 1 | 1 | 15-7 | 13 |
| აკადემია | 6 | 4 | 1 | 1 | 19-4 | 13 |
| ვიტ ჯორჯია2 | 6 | 3 | 3 | 0 | 19-4 | 12 |
| ვარძია | 6 | 3 | 2 | 1 | 7-3 | 11 |
| მაუდი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-4 | 10 |
| ლიახვი | 6 | 3 | 0 | 3 | 9-9 | 9 |
| ოლიმპიკი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-5 | 8 |
| გორდა2 | 6 | 2 | 2 | 2 | 12-6 | 8 |
| ჭაბუკიანი | 5 | 1 | 4 | 0 | 6-2 | 7 |
| დინამო3 | 5 | 1 | 2 | 2 | 4-4 | 5 |
| ცხუმი | 6 | 1 | 2 | 3 | 6-8 | 5 |
| თბილისი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-12 | 4 |
| მესხეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-13 | 4 |
| მერანი3 | 6 | 1 | 1 | 4 | 4-15 | 4 |
| მრეტები | 5 | 0 | 1 | 4 | 4-12 | 1 |
| კრწანისი | 6 | 0 | 1 | 5 | 2-20 | 1 |
| ჯავახი | 6 | 0 | 0 | 6 | 4-36 | 0 |

### დასავლეთის ზონა

**VII ტური**

დინამო2 — საპოვნელა 0-0
მერცხალი — ინტერი 3-0
დინამო (სოხ) — კოლხეთი2 0-3
სამეგრელო — სქური 3-3
სულორი — საირმე 2-1
გურია2 — ჩიხურა 3-0
მეტალურგი2 — სალხინო 1-2
დინამო (ზ) — ლუკა 4-1
ოკრიბა — მაღაროელი 0-2
ეგრისი — გზები 2-1

**VIII ტური**

საპოვნელა — გზები 6-1
მაღაროელი — ეგრისი 6-3
ლუკა — ოკრიბა 2-0
სალხინო — დინამო(ზ) 2-0
ჩიხურა — მეტალურგი2 0-0
საირმე — გურია2 0-1
სქური — სულორი 2-1
კოლხეთი2 — სამეგრელო 5-0
ინტერი — დინამო(სოხ) 1-0
დინამო2 — მერცხალი 0-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 8 | 7 | 1 | 0 | 16-3 | 22 |
| სულორი | 8 | 7 | 0 | 1 | 21-6 | 21 |
| გურია2 | 8 | 6 | 1 | 1 | 20-4 | 19 |
| დინამო (ზ) | 8 | 6 | 1 | 1 | 16-7 | 19 |
| სალხინო | 8 | 5 | 0 | 3 | 12-10 | 15 |
| საპოვნელა | 8 | 4 | 3 | 1 | 24-8 | 15 |
| კოლხეთი2 | 8 | 4 | 3 | 1 | 14-4 | 15 |
| მეტალურ.2 | 8 | 4 | 2 | 2 | 11-9 | 14 |
| მაღაროელი | 8 | 4 | 1 | 3 | 16-15 | 13 |
| სქური | 8 | 4 | 1 | 3 | 13-12 | 13 |
| ინტერი | 8 | 4 | 1 | 3 | 11-7 | 13 |
| საირმე | 8 | 3 | 1 | 4 | 8-7 | 10 |
| სამეგრელო | 8 | 3 | 1 | 4 | 12-15 | 10 |
| ეგრისი | 8 | 3 | 1 | 4 | 10-16 | 10 |
| ლუკა | 8 | 2 | 0 | 6 | 7-17 | 6 |
| დინ.(სოხ) | 8 | 1 | 1 | 6 | 6-17 | 4 |
| დინ.2 (ბთ) | 8 | 1 | 1 | 6 | 3-10 | 4 |
| ჩიხურა | 8 | 1 | 1 | 6 | 6-21 | 4 |
| გზები | 8 | 1 | 0 | 7 | 4-21 | 3 |
| ოკრიბა | 8 | 0 | 0 | 8 | 1-22 | 0 |

**სფფ-ს სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე**

# მოვეშვათ ქვის სროლას, დავიცვათ სპორტული ეთიკა!

**დიდხანს სამსჯელო საკითხებით დახუნძლული გამოდგა კოლეგიის მორიგი სხდომა. ზოგიერთ ნიუანსებში უკეთ გასარკვევად ვიდეო ფირის მოშველიებაც საჭირო გახდა. მივყვეთ თანმიმდევრულად. 12 სექტემბრის ზესტაფონის „მეტალურგისა“ და სამტრედიის „ლოკომოტივის“ სათასო მატჩის მიმდინარეობისას მაყურებლებმა თანამსაჯს ქვები დაუშინეს. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, ზესტაფონის სტადიონის ადმინისტრაცია კი კოლეგიამ გააფრთხილა. მაყურებელთა ანალოგიური უწესობისთვის, რომელიც „ტორპედო“ — „ვიტ ჯორჯიას“ მატჩისას მოხდა, ქუთაისელთა სტადიონი უფრო მკაცრად დაისაჯა — უკანასკნელ გაფრთხილებასთან ერთად, 300 ლარი ჯარიმა დაეკისრა. რუსთავის „გორდასა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ მატჩის შესვენებისას მსაჯთა ოთახში უცხო პირი შევიდა, რაც დებულების დარღვევაა. „ფოლადის“ სტადიონის ადმინისტრაცია უკანასკნელად გააფრთხილეს და 200 ლარით დააჯარიმეს.**

**ინდივიდუალური სასჯელები ასე „ჩამოარიგეს“: ზუგდიდელი მანუჩარ კვარაცხელია, რომელიც „ბოლო იმედის“ ჯარიმისთვის გააძევეს, ერთი თამაშითაა დისკვალიფიცირებული; რუსთაველი პავლე ბექაური ორი გაფრთხილების გამოა გაძევებული და ისიც ერთ მატჩს გამოტოვებს, თხუელი ერეკლე მერებაშვილმა გაძევების შემდეგ მსაჯებს გინება დაუწყო, რისთვისაც ორი მატჩით მისცეს დისკვალიფიკაცია, 29 სექტემბრის „ცხინვალი“ — „მილანის“ თამაშის დროს ცხინვალელი ზურაბ ნასუაშვილი და წნორელი გიორგი ჩიტაური ერთმანეთს წაეკიდნენ. ორივე ორ-ორ მატჩს გამოტოვებს; ფოთელი ფანჩულიძისა და ვიტელი დოლიძის საფეხბურთო ორთაბრძოლა მუშტიკრივსა და გინებაში გადაიზარდა. მტყუან-მართლის გასარკვევად ვიდეოც გამოიყენეს და დოლიძეს ორმატჩიანი, ხოლო ფანჩულიძეს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს; „სამგურალისა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩში წყალტუბოელები ხუნდაძე, ფრანგიშვილი და დარსაძე მსაჯთან კამათს გადაჰყვნენ, სამივე ორ-ორი მატჩით „დაისვენებს“; „სამგურალის“ მწვრთნელის იასონ ბზიკაძის მიერ მსაჯ კვარაცხელიას ფიზიკური შეურაცხყოფის საკითხი გადაიდო, იგი აუცილებლად უნდა გამოცხადდეს კოლეგიის შემდგომ სხდომაზე.**

**„ტორპედოს“ უკრაინელი ლეგიონერის ანდრეი პოროშინის თბილისის „დინამოს“ კარში პირველი გატანილი გოლის ნამდვილობის დადგენასაც ვიდეოფირი დასჭირდა. კოლეგიამ იმსჯელა, იკამათა და ფეხბურთელს არასპორტული, არაეთიკური საქციელისთვის გაფრთხილება გამოუტანა.**

საბა ლომინაძე

# „ვაკე-91“ 10 წლისთავს ღირსეულად შეხვდა

*(მე-4 გვერდიდან)*

სტადიონზე, სადაც მსოფლიოს საფეხბურთო ვარსკვლავებს უთამაშიათ. დანიის ეროვნულმა ნაკრებმა სწორედ აქ მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა 1992 წელს. 2001 წლის 20 ივლისს ამ ულამაზეს სტადიონზე ითამაშა ფინალური მატჩი „ვაკე — 91“-მა მასპინძელთა (შვედეთის) გუნდთან. ფაქტობრივად, იმ დღეს, ამ სტადიონებზე, პირველად აჟღერდა საქართველოს ჰიმნი და აფრიალდა ეროვნული დროშა.

მატჩს 20 ათასამდე მაყურებელი ესწრებოდა. მე-12 წუთზე ჩვენების აზრიანი, მახვილგონივრული შეტევა მასპინძლებმა უხეში თამაშით ჩაშალეს. 11-მეტრიანი კარგად გამოიყენა გიორგი იაშვილმა 1-0. მაყურებელთა მხურვალე მხარდაჭერამ ფრთები შეასხა შვედებს და მეორე ტაიმში ჩვენს კარში სამი უპასუხო გოლი გაიტანეს. მოკლედ, ვერცხლის მედლები!

ამის შემდეგ ვაკელებს წინ ელოდათ დანიის საერთაშორისო ტურნირი. ნახევარფინალამდე გზა ქართველმა ყმაწვილებმა ბრწყინვალედ განვლეს. აქ კი კვლავ ძველ ნაცნობებს — შვედებს გადაეყარნენ. ცხადია, დიდი იყო რევანშის სურვილი. ორივე გუნდმა შექმნა არაერთი საგოლე მომენტი, მაგრამ მეკარეები ყოჩაღობდნენ. ძირითადი დრო 0-0 დამთავრდა. დაინიშნა დამატებითი დრო — ოქროს გოლამდე. მე-9 წუთზე ნიკა აფციაურმა ბრწყინვალედ დაარტყა 25-27 მეტრიდან და ულამაზესი გოლი გაიტანა. ახლა იმავე დღეს, მეტიც, ოთხი საათის შემდეგ, ქართველებს ფინალი ელოდათ ფინელ თანატოლებთან. ჩვენებისაგან ნახევარფინალში ძლეული შვედი ჭაბუკები „ჯორჯია-ჯორჯიას!“ შეძახილით თავგამოდებით უჭერდნენ მხარს თბილისელებს. მიმდინარეობდა მატჩის მე-7 წუთი. ტატო სოფრომაძის უჭკვიანესი გადაცემის შემდეგ ლევან ნიჟარაძეს ძლიერი დარტყმით, 18-20 მეტრიდან გააქვს პირველი გოლი, ეს კარგი ფსიქოლოგიური იმპულსი იყო. მე-18 წუთზე ლევანმა კვლავ წარმატებით დალაშქრა მეტოქის კარი 2-0. მეორე ნახევარში ფინელები გააქტიურდნენ, მაგრამ მხოლოდ 7 წუთი დომინირებდნენ. მერე ინიციატივა ქართველთა მხარეს იყო და მატჩის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე მესამე გოლით დაუსვეს წერტილი ორთაბრძოლას. ახლა ისიც ვთქვათ, რომ ტურნირი ჩვენებმა ისე დაამთავრეს, საკუთარ კარში გოლი არ მიუღიათ (32-0).

გუნდის ხელმძღვანელობა დიდ მადლობას უხდის „ვიტ-ჯორჯიას“, მის პრეზიდენტს გურამ რუხაძეს, „ებანკის“ თავკაცს ემზარ მორგოშიას, სფფ-ს განყოფილების უფროს ლევან ყიფიანს, სფფ-ს პრეს-ატაშეს მამუკა კვარაცხელიას, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რომ უცხოეთის ტურნეში ჩვენს გუნდს წარმატებით ესპარეზა.

მიმომხილველი

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

● **უეფამ „პარი სენ-ჟერმენს“ გამარჯვება** [illegible]ანიჭა (3-0) ბუქარესტის „რაპიდთან“ შეხვედრაში უეფას თასზე. როგორც ცნობილია, 115-ე წუთზე სტადიონზე შუქი გამოირთო. უეფამ დაადგინა, რომ „რაპიდი“ დაისაჯა მომხდარისა და რეგლამენტის დარღვევის გამო.

● **როგორც** იუწყებიან, უკვე ორსამ კვირაში გასკოინი გამოვა სათამაშოდ. „ევერტონის“ ლეგენდარული




გასკოინი

ნახევარმცველი ამ რამდენიმე დღის წინ დაშავდა „ვესტ-ჰემთ[illegible]“ შეხვედრაში. ვარაუდობენ, რომ გასკოინი „ასტონ ვილასთან“ ითამაშებს 20 ოქტომბერს. დავძენთ, რომ ამ 34 წლის ფეხბურთელმა შარშანაც დიდი დრო გაატარა სათადარიგოთა სკამზე ტრავმების გამო.

● **სერია „A“-ს აუტსაიდერი „ტორინო“, რომელმაც პირველ 5 ტურში მხოლოდ 5 ქულა დაიმსახურა, აპირებს გუნდის გასაძლიერებლად შეიძინოს ფრანგი ნახევარმცველი, 32 წლის ბერნარომ კოე „ინტერიდან“. გარიგება უკვე დღეს-ხვალ შეიძლება შედგეს.**

● **უკრაინელი** ფორვარდი, ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელი ანდრეი პროშინი სასწრაფოდ გადაფრინდა მშობლიურ ქალაქ ჩერკასში, საიდანაც მან ბინის გაქურდვის შეტყობინება მიიღო. ვარაუდობენ, რომ 9 ოქტომბერს შინ „მერანთან“ მატჩში, ქუთაისელებს პოროშინი ვერ დაეხმარება.

● **ზინედინ ზიდანმა განაცხადა: „ალჟირელთა წინააღმდეგ მატჩში, გულში ქვა მექნება“. ეს ამხანაგური მატჩი ამ შაბათს გაიმართება საფრანგეთისა და ალჟირის ნაკრებებს შორის. საქმე იმაშია, რომ მსოფლიო საუკეთესო ფეხბურთელი ზიდანი ალჟირული წარმოშობის ფრანგია. „ცხადია, მძიმე იქნება ჩემთვის ვითამაშო იმ ქვეყნის გუნდის წინააღმდეგ, საიდანაც ჩემი ფესვები მოდის“ — დასძენს ზიდანი. ეს ამ ორი ქვეყნის ნაკრებების პირველი შეხვედრაა მას შემდეგ, რაც 1962 წელს ალჟირმა დამოუკიდებლობა მოიპოვა.**

● **3 ოქტომბერს** ინგლისში განახლდა „ლიდსის“ ორი ფეხბურთელის სასამართლო — ბოიერსა და ვუდგეიტს ბრალი ედებათ, იმაში, რომ შარშან, იანვარში, სცემეს აზიური წარმოშობის სტუდენტს. სასამართლო წელიწადზე მეტია გრძელდება. ამ პროცესმა საკმაოდ შელახა ფეხბურთელთა პრესტიჟი.

## ნომრიდან — ნომრამდე

● **ბერძნები შეურაცხყოფილები არიან იმით, რომ „პანათინაიკოსსა“ და ლონდონის „არსენალს“ შორის ჩემპიონთა ლიგის მატჩის („არსენალი“ 1-0 დამარცხდა) შემდეგ, სტუმართა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა შეურაცხყო მასპინძელთა კლუბის ვიცე-პრეზიდენტი, ნახევარმცველ მიხალსენს კი ემუქრებოდა და აშინებდა. სტუმრებმა გასახდელში უწე[illegible]იგოდ მიყარ-მოყარეს ბოთლები და ხელუხლები ბუტერბროდები, დაამსხვრიეს ავეჯი. მომხდარის შესახებ ბერძნებმა ოფიციალურად აცნობეს უეფას.**



რონალდო



ვან გაალი

● **ჰოლანდიის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვან გაალმა წინადადება მისცა „ლივერპულის“ მეკარეს ვესტერველდს წავიდეს კლუბიდან თუ მას შემდგომში ეროვნულ ნაკრებში ადგილის შენარჩუნება სურს. მიზეზი ის არის, რომ „ლივერპულმა“ ორი ახალი მეკარე შეიძინა და ჰოლანდიელი სათადარიგოთა შორისაც კი იშვიათად ხვდება.

● **როგორც მოსალოდნელი იყო, რონალდო ვერ შეძლებს ითამაშოს ჩილეს ნაკრების წინააღმდეგ ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში კვირას. როგორც ვიუწყებოდით, რამდენიმე დღის წინ რონალდომ ბარძაყის კუნთი დაიზიანა.**

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ბავშვთა ლიგა

**II ტური**



კოლხეთი — ტონთიო 1-2
დინამო (ბთ) — ლაზიკა 0-0
კახეთი — ხალიბი 3-0
ვაკე 91 — შევარდენი (ქ) 0-0
შევარდენი 1906 — ავაზა 5-3
მთვარის გლობუსი — ლოკომოტივი (გადაიდო)

**IV ტური**

ტონთიო — ლოკომოტივი 4-1
მთვარის გლობუსი — ლაზიკა 3-0
კოლხეთი — ხალიბი 3-0
დინამო (ბთ) — შევარდენი 1-2
კახეთი — ავაზა 4-0
ვაკე91 — შევარდენი1906 3-2

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდ.1906 | 14 | 8 | 3 | | 39-22 | 27 |
| ვაკე 91 | 14 | 8 | 2 | 4 | 22-19 | 26 |
| დინამო (ბთ) | 14 | 6 | 5 | 3 | 13-16 | 23 |
| შევარ. (ქ) | 14 | 6 | 4 | 4 | 16-12 | 22 |
| მთვ. გლობ. | 13 | 6 | 3 | 4 | 20-10 | 21 |
| ლოკომოტივი | 13 | 6 | 3 | 4 | 13-16 | 21 |
| ტონთიო | 14 | 6 | 0 | 8 | 29-25 | 18 |
| ხალიბი | 14 | 5 | 3 | 6 | 21-20 | 18 |
| კოლხეთი | 14 | 5 | 2 | 7 | 16-17 | 17 |
| კახეთი | 14 | 5 | 1 | 8 | 16-21 | 16 |
| ავაზა | 14 | 4 | 3 | 7 | 16-23 | 15 |
| ლაზიკა | 14 | 2 | 3 | 9 | 14-34 | 9 |

*შენიშვნა: „ხალიბი“ მოიხსნა გათამაშებიდან.*

# 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ანონსი

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN





## ევროპა

6 და 7 ოქტომბერს გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დასკვნითი მატჩები ევროპის ზონაში და გაირკვევა იმ ნაკრებების ვინაობა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კორეა-იაპონიის ფინალურ ტურნირში. როგორც ცნობილია, უკვე გაინაღდეს კორეა-იაპონიის საგზური: შვედეთის, პოლონეთისა და ესპანეთის ნაკრებებმა.

გაგაცნობთ ჯგუფებში სატურნირო მდგომარეობას.

### I ჯგუფი. 6 ოქტომბერი

იუგოსლავია — ლუქსემბურგი
რუსეთი — შვეიცარია
სლოვენია — ფარერები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 9 | 6 | 2 | 1 | 14-5 | 20 |
| სლოვენია | 9 | 4 | 5 | 0 | 14-9 | 17 |
| იუგოსლავია | 9 | 4 | 4 | 1 | 16-6 | 16 |
| შვეიცარია | 9 | 4 | 2 | 3 | 18-8 | 14 |
| ფარერები | 9 | 2 | 1 | 6 | 6-20 | 7 |
| ლუქსემბურგი | 9 | 0 | 0 | 9 | 2-22 | 0 |

### II ჯგუფი. 6 ოქტომბერი

ჰოლანდია — ანდორა
პორტუგალია — ესტონეთი
ირლანდია — კვიპროსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 9 | 6 | 3 | 0 | 28-7 | 21 |
| ირლანდია | 9 | 6 | 3 | 0 | 19-5 | 21 |
| ჰოლანდია | 9 | 5 | 2 | 2 | 26-9 | 17 |
| ესტონეთი | 9 | 2 | 2 | 5 | 10-21 | 8 |
| კვიპროსი | 9 | 2 | 2 | 5 | 13-27 | 8 |
| ანდორა | 9 | 0 | 0 | 9 | 5-32 | 0 |

### III ჯგუფი. 6 ოქტომბერი

დანია — ისლანდია
ჩეხეთი — ბულგარეთი
მალტა — ჩრ. ირლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 9 | 5 | 4 | 0 | 16-6 | 19 |
| ჩეხეთი | 9 | 5 | 2 | 2 | 14-8 | 17 |
| ბულგარეთი | 9 | 5 | 2 | 2 | 14-9 | 17 |
| ისლანდია | 9 | 4 | 1 | 4 | 14-14 | 13 |
| ჩრ. ირლანდ. | 9 | 2 | 2 | 5 | 10-12 | 8 |
| მალტა | 9 | 0 | 1 | 8 | 4-23 | 1 |

### IV ჯგუფი. 7 ოქტომბერი

მაკედონია — სლოვაკეთი
მოლდოვა — თურქეთი
შვედეთი — აზერბაიჯანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 9 | 7 | 2 | 0 | 17-3 | 23 |
| თურქეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 15-8 | 18 |
| სლოვაკეთი | 9 | 4 | 2 | 3 | 11-9 | 14 |
| მაკედონია | 9 | 1 | 4 | 4 | 11-13 | 7 |
| მოლდოვა | 9 | 1 | 3 | 5 | 6-17 | 6 |
| აზერბაიჯანი | 9 | 1 | 2 | 6 | 4-14 | 5 |

### V ჯგუფი. 6 ოქტომბერი

უელსი — ბელარუსი
სომხეთი — ნორვეგია
პოლონეთი — უკრაინა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 9 | 6 | 2 | 1 | 20-10 | 20 |
| უკრაინა | 9 | 4 | 4 | 1 | 12-7 | 16 |
| ბელარუსი | 9 | 4 | 3 | 2 | 12-10 | 15 |
| ნორვეგია | 9 | 1 | 4 | 4 | 8-13 | 7 |
| უელსი | 9 | 0 | 6 | 3 | 9-12 | 6 |
| სომხეთი | 9 | 0 | 5 | 4 | 6-15 | 5 |

### VI ჯგუფი. 6 ოქტომბერი

ხორვატია — ბელგია
შოტლანდია — ლატვია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 7 | 5 | 2 | 0 | 25-5 | 17 |
| ხორვატია | 7 | 4 | 3 | 0 | 14-2 | 15 |
| შოტლანდია | 7 | 3 | 3 | 1 | 10-5 | 12 |
| ლატვია | 7 | 1 | 1 | 5 | 4-14 | 4 |
| სან მარინო | 8 | 0 | 1 | 7 | 3-30 | 1 |

### VII ჯგუფი. 7 ოქტომბერი

ისრაელი — ავსტრია
ბოსნია — ლიხტენშტეინი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 8 | 6 | 2 | 0 | 21-4 | 20 |
| ავსტრია | 7 | 4 | 2 | 1 | 9-7 | 14 |
| ისრაელი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-6 | 11 |
| ბოსნია | 7 | 1 | 2 | 4 | 7-12 | 5 |
| ლიხტენშტ. | 7 | 0 | 0 | 7 | 0-18 | 0 |

### VIII ჯგუფი. 6 ოქტომბერი

იტალია — უნგრეთი
რუმინეთი — საქართველო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 7 | 5 | 2 | 0 | 15-3 | 17 |
| რუმინეთი | 7 | 5 | 0 | 2 | 9-6 | 15 |
| საქართველო | 7 | 3 | 0 | 4 | 11-11 | 9 |
| უნგრეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 14-12 | 8 |
| ლატვია | 8 | 0 | 2 | 6 | 3-20 | 2 |

### IX ჯგუფი. 6 ოქტომბერი

გერმანია — ფინეთი
ინგლისი — საბერძნეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 7 | 5 | 1 | 1 | 14-4 | 16 |
| გერმანია | 7 | 5 | 1 | 1 | 14-10 | 16 |
| ფინეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 12-7 | 11 |
| საბერძნეთი | 7 | 2 | 0 | 5 | 5-15 | 6 |
| ალბანეთი | 8 | 1 | 0 | 7 | 5-14 | 3 |

## სამხრეთ ამერიკა

*6 ოქტომბერი:* ურუგვაი — კოლუმბია (პირველ წრეში 0-1)
ბრაზილია — ჩილე (0-3)
ბოლივია — ეკვადორი (0-2)
პარაგვაი — არგენტინა (1-1)
ვენესუელა — პერუ (0-1)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 15 | 12 | 2 | 1 | 37-12 | 38 |
| პარაგვაი | 15 | 9 | 2 | 4 | 26-14 | 29 |
| ეკვადორი | 15 | 8 | 2 | 5 | 17-18 | 26 |
| ბრაზილია | 15 | 7 | 3 | 5 | 25-14 | 24 |
| ურუგვაი | 15 | 7 | 3 | 5 | 16-10 | 24 |
| კოლუმბია | 15 | 5 | 5 | 5 | 12-13 | 20 |
| პერუ | 15 | 4 | 3 | 8 | 13-19 | 15 |
| ბოლივია | 15 | 3 | 5 | 7 | 16-26 | 14 |
| ჩილე | 15 | 3 | 2 | 10 | 14-22 | 11 |
| ვენესუელა | 15 | 3 | 1 | 11 | 12-40 | 10 |

*სურათზე: ბრაზილიელები ერთ-ერთ ვარჯიშზე*

## კონკაკაფი

*7 ოქტომბერი:* ჰონდურასი — ტრინიდადი და ტობაგო
აშშ — იამაიკა
კოსტა რიკა — მექსიკა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოსტა რიკა | 8 | 6 | 1 | 1 | 16-7 | 19 |
| ჰონდურასი | 8 | 4 | 2 | 2 | 17-13 | 14 |
| მექსიკა | 8 | 4 | 1 | 3 | 13-9 | 13 |
| აშშ | 8 | 4 | 1 | 3 | 9-7 | 13 |
| იამაიკა | 8 | 2 | 2 | 4 | 6-11 | 8 |
| ტრინ.და ტობ. | 8 | 0 | 1 | 7 | 4-18 | 1 |



## ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...
## ესპანეთი

| | | |
|---|---|---|
| ვალიადოლიდი — ესპანიოლი | | 0-1 |
| ალავესი — მალაგა | | 1-0 |
| სარაგოსა — სოსიედადი | | 3-2 |
| რაიო — ოსასუნა | | 0-1 |
| ბარსელონა — მალიორკა | | 3-0 |
| ბილბაო — ბეტისი | | 0-0 |
| ვილიარეალი — დეპორტივო | | 1-1 |
| სევილია — ტენერიფე | | 2-0 |
| ლას პალმასი — რეალი | | 4-2 |

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 6 | 4 | 2 | 0 | 10-2 | 14 |
| ბეტისი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-4 | 13 |
| ვილიარეალი | 6 | 4 | 1 | 1 | 8-4 | 13 |
| სელტა | 5 | 3 | 2 | 0 | 10-2 | 11 |
| დეპორტივო | 6 | 3 | 2 | 1 | 12-7 | 11 |
| ალავესი | 6 | 3 | 2 | 1 | 7-3 | 11 |
| ბილბაო | 6 | 3 | 2 | 1 | 9-6 | 11 |
| სევილია | 6 | 3 | 1 | 2 | 9-7 | 10 |
| ოსასუნა | 6 | 3 | 1 | 2 | 3-6 | 10 |
| ვალენსია | 5 | 2 | 3 | 0 | 5-3 | 9 |
| ესპანიოლი | 6 | 3 | 0 | 3 | 9-12 | 9 |
| სარაგოსა | 6 | 2 | 2 | 2 | 7-7 | 8 |
| ლას პალმასი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-4 | 7 |
| რეალი | 6 | 1 | 2 | 3 | 11-12 | 5 |
| მალაგა | 6 | 1 | 2 | 3 | 6-8 | 5 |
| ვალიადოლ. | 6 | 1 | 2 | 3 | 5-11 | 5 |
| ტენერიფე | 6 | 1 | 1 | 4 | 2-9 | 4 |
| მალიორკა | 6 | 1 | 1 | 4 | 1-9 | 4 |
| რაიო | 6 | 0 | 1 | 5 | 5-11 | 1 |
| სოსიედადი | 6 | 0 | 1 | 5 | 3-11 | 1 |




## თანამეგობრობა — 2002 წლის ნილისყრა

2002 წლის 19 იანვარს მოსკოვში ჩატარდება საიუბილეო მე-10 გათამაშება თანამეგობრობის თასზე. ტურნირი დაუბრუნდა ძველ ფორმულას: 4 ჯგუფი 4-4 გუნდით. საპრიზო ფონდი შეადგენს 100 000 დოლარს. 35 000 მიიღებს გამარჯვებული, ხოლო ფინალისტი 15 000 დოლარს.

**A ჯგუფი:**
რუსეთის ჩემპიონი
სომხეთის ჩემპიონი
მოლდოვას ჩემპიონი
უზბეკეთის ჩემპიონი

**B ჯგუფი:**
საქართველოს ჩემპიონი
ყაზახეთის ჩემპიონი
ლატვიის ჩემპიონი
რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები (კონკურსგარეშე).

**C ჯგუფი:**
უკრაინის ჩემპიონი
აზერბაიჯანის ჩემპიონი
ლიტვის ჩემპიონი
ტაჯიკეთის ჩემპიონი

**D ჯგუფი:**
თურქმენეთის ჩემპიონი
ბელარუსის ჩემპიონი
ესტონეთის ჩემპიონი
ყირგიზეთის ჩემპიონი

***მეოთხედფინალები (23 იანვარი):*** A1 - B2 (1). D1 - C2 (2), B1 - A2 (3), C1 - D2 (4).
***ნახევარფინალი (25 იანვარი):*** 1-2 და 3-4
***ფინალი:*** 27 იანვარი.

## მალდინი მიდის

**იტალიის ნაკრების რეკორდსმენმა ჩატარებულ შეხვედრათა რაოდენობით პაოლო მალდინიმ განაცხადა, რომ ნაკრებში თამაშს შეწყვეტს 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის შემდეგ.**

**33 წლის მალდინი, რომელმაც შარშან ოქტომბერში მოხსნა დინო ძოფის რეკორდი (112) იტალიის ნაკრებში თამაშობს 1988 წლიდან.**




## სერხი ტრავმირებულია

ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას" მცველმა სერხი ბარხუანიმ „მალიორკასთან" შეხვედრაში ტრავმა მიიღო და ორი თვით გამოაკლდა გუნდს. კვირას „ბარსელონა" პრინციპულ შეხვედრას გამართავს „დეპორტივოსთან" და მას ამ შეხვედრაში არ ეყოლება 5 მცველი. სერხის გარდა ტრავმირებული არიან კრისტანვალი და აბელარდო, ხოლო ანდერსონი და კოკო შესაბამისად გამოძახებულნი არიან შვედეთისა და იტალიის ნაკრებში.




## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (21 წლამდე)

UNDER-21 Championship

*I ჯგუფი. 5 ოქტომბერი*
იუგოსლავია — ლუქსემბურგი
რუსეთი — შვეიცარია

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 7 | 4 | 3 | 0 | 19-7 | 15 |
| რუსეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 20-6 | 14 |
| იუგოსლავია | 7 | 3 | 3 | 1 | 14-11 | 12 |
| სლოვენია | 8 | 2 | 2 | 4 | 10-10 | 8 |
| ლუქსემბურგი | 7 | 0 | 0 | 7 | 1-30 | 0 |

*II ჯგუფი. 5 ოქტომბერი*
ირლანდია — კვიპროსი
პორტუგალია — ესტონეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 8 | 5 | 2 | 1 | 20-7 | 17 |
| პორტუგალია | 7 | 5 | 1 | 1 | 18-4 | 16 |
| ირლანდია | 7 | 3 | 1 | 3 | 7-7 | 10 |
| კვიპროსი | 7 | 3 | 0 | 4 | 9-14 | 9 |
| ესტონეთი | 7 | 0 | 0 | 7 | 2-24 | 0 |

*III ჯგუფი. 5 ოქტომბერი*
ჩეხეთი — ბულგარეთი
მალტა — ჩრ. ირლანდია
დანია — ისლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 9 | 8 | 0 | 1 | 20-5 | 24 |
| ბულგარეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 16-9 | 18 |
| დანია | 9 | 3 | 3 | 3 | 14-12 | 12 |
| ისლანდია | 9 | 3 | 2 | 4 | 13-13 | 11 |
| ჩრ. ირლანდია | 9 | 2 | 1 | 6 | 10-19 | 7 |
| მალტა | 9 | 0 | 3 | 6 | 3-18 | 3 |

*IV ჯგუფი. 6 ოქტომბერი: მოლდოვა — თურქეთი*
მაკედონია — სლოვაკეთი
შვედეთი — აზერბაიჯანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 9 | 7 | 1 | 1 | 17-4 | 22 |
| შვედეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 19-6 | 18 |
| სლოვაკეთი | 9 | 4 | 3 | 2 | 12-6 | 15 |
| მოლდოვა | 9 | 2 | 2 | 5 | 4-11 | 8 |
| აზერბაიჯანი | 9 | 2 | 2 | 5 | 4-17 | 8 |
| მაკედონია | 9 | 1 | 1 | 7 | 5-17 | 4 |

*V ჯგუფი. 5 ოქტომბერი*
სომხეთი — ნორვეგია
პოლონეთი — უკრაინა
უელსი — ბელარუსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 9 | 6 | 1 | 2 | 14-10 | 19 |
| ნორვეგია | 9 | 6 | 0 | 3 | 21-10 | 18 |
| პოლონეთი | 9 | 4 | 3 | 2 | 17-14 | 15 |
| ბელარუსი | 9 | 4 | 1 | 4 | 19-13 | 13 |
| სომხეთი | 9 | 3 | 2 | 4 | 8-15 | 11 |
| უელსი | 9 | 0 | 1 | 8 | 3-20 | 1 |

*VI ჯგუფი. 5 ოქტომბერი: შოტლანდია — ლატვია*
ხორვატია — ბელგია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 5 | 4 | 1 | 0 | 8-1 | 13 |
| ხორვატია | 5 | 2 | 2 | 1 | 8-6 | 8 |
| შოტლანდია | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 5 |
| ლატვია | 5 | 0 | 1 | 4 | 3-11 | 1 |

*VII ჯგუფი. 6 ოქტომბერი. ისრაელი — ავსტრია*
*7 ოქტომბერი:* საფრანგეთი — ბოსნია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 15-6 | 17 |
| ესპანეთი | 8 | 5 | 1 | 2 | 13-7 | 16 |
| ისრაელი | 7 | 3 | 0 | 4 | 11-12 | 9 |
| ავსტრია | 7 | 2 | 2 | 3 | 6-9 | 8 |
| ბოსნია | 7 | 0 | 1 | 6 | 5-16 | 1 |

*VIII ჯგუფი. 5 ოქტომბერი:*
იტალია — უნგრეთი
რუმინეთი — საქართველო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 7 | 6 | 1 | 0 | 14-3 | 19 |
| რუმინეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 11-4 | 13 |
| უნგრეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 10-9 | 12 |
| ლიტვა | 8 | 2 | 0 | 6 | 5-17 | 6 |
| საქართველო | 7 | 1 | 0 | 6 | 8-15 | 3 |

*IX ჯგუფი. 5 ოქტომბერი:*
გერმანია — ფინეთი
ინგლისი — საბერძნეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 13-4 | 16 |
| ინგლისი | 7 | 4 | 2 | 1 | 16-7 | 14 |
| გერმანია | 7 | 4 | 1 | 2 | 16-7 | 13 |
| ფინეთი | 7 | 1 | 1 | 5 | 7-18 | 4 |
| ალბანეთი | 8 | 1 | 1 | 6 | 3-19 | 4 |

## თქვენთვის, ერუდიტებო!

***1. ვინ გაიტანა პირველი გოლი არგენტინელთა მხრიდან 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გფრ-ს წინააღმდეგ (არგენტინა — გფრ 3-2):***
ა) ვალდანო
ბ) ბრაუნი
გ) ბურუჩაგა

***2. რომელი ნომრით თამაშობდა 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაში გივი ნოდია:***
ა) 10
ბ) 9
გ) 19

***3. რომელ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა კუბის ნაკრები:***
ა) მე-2 (1934 წ)
ბ) მე-3 (1938 წ)
გ) მე-4 (1950 წ)

***4. რომელ მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ სტადიაში არ მონაწილეობდა იტალიის ნაკრები.***
ა) პირველ (1930) და მეხუთე (1954)
ბ) პირველ (1930) და მეოთხე (1950)
გ) პირველ (1930) და მეექვსე (1958)

***5. რამდენი „პენალტი" დანიშნა ბოლივიელმა მსაჯმა საუსედომ 1930 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაში არგენტინა — მექსიკის შეხვედრაში (6-3):***
ა) 3
ბ) 4
გ) 5

წინა ნომრის პასუხები:
1 — ბ, 2 — გ, 3 — ა, 4 — ა 5 — ბ.

## XX საუკუნის დიდი ფეხბურთელები

### ალფრედო დი სტეფანო:

# გმადლობთ, მოხუცო!



### თასები და ხალხი

1955-56-ის სეზონში ესპანეთის ლიგაში გაიმარჯვა ბილბაოს „ატლეტიკმა". ჩვენ მესამე ადგილი გვერგო, წინ „ბარსელონა" გავუშვით. მე, 24 გოლით კვლავ საუკეთესო ბომბარდირობა მხვდა წილად. „ატლეტიკოს" ტრიუმფმა ორ ესპანურ გუნდს გაუხსნა გზა მომდევნო წელს ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობისათვის. ჩვენმა ჩემპიონმა დათმო მეოთხედფინალური შეხვედრა „მანჩესტერთან", ჩვენ კი რევანში ავიღეთ ინგლისელებთან, ნახევარფინალში. ფინალი მადრიდში გაიმართა „ფიორენტინასთან". შედეგი — 2-0. ჩვენ კიდევ ერთი თასი მივიღეთ, ჰენტოსთან ერთად კი მილოცვას ვიღებდით ორივე გოლისათვის. აქვე ფეხბურთის ასოციაციების ევროპის კავშირმა (უეფა) გათამაშების დებულებაში დაამატა, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრავს ქალაქს ფინალის ჩასატარებლად. რომ ორჯერ (იქნებ, მეტჯერაც), ფინალი მადრიდში არ ჩატარებულიყო. ანალოგიურად, ფარულად გადაწყვიტეს „ოქროს ბურთი" მიანიჭონ ყოველწლიურად სხვადასხვა ფეხბურთელს. პირველად ინგლისელი მეტიუზი გახდა მისი მფლობელი. ასაკის მიუხედავად, განაგრძობდა თამაშს, კვლავ ბრწყინვალე დრიბლინგი ჰქონდა და ფლანგიდან ცენტრში გადაცემის ოსტატის სახელი დაიდო. გოლეადორობით არ გამოირჩეოდა, არც ჰენტოს სისწრაფე ჰქონდა. მეორე „ოქროს ბურთი" მე მომაკუთვნეს, მესამე წელს კოპას რიგი დადგა. აი, მეოთხედ კი, უკვე ტრადიცია დაირღვა, საუკეთესო კვლავ მე ამომირჩიეს.

ამასობაში ბერნაბეუ საპოტოსთან ერთად განაგრძობდა გუნდში ახალი სისხლის შეშვების პოლიტიკას. კოპას ალდაკვალ მოვიდნენ სანსისტებანი და ანტონიუ რუისი. ჩემპიონთა თასის მეორე გათამაშებისათვის „რეალი" ტორესით გაძლიერდა, ვინაიდან მკურნალობა გაუგრძელდათ ტრავმირებულ ბესერილსა და ატიენსას.

მეორე ევროტურნირის დაწყება ჩვენთვის ძალზე მძიმე გამოდგა. მადრიდში გავიმარჯვეთ, ვენაში წავაგეთ. „რაპიდი" ყოველთვის კერკეტ კაკლად ითვლებოდა. კიდევ კარგი, რომ წილისყრამ კვლავ მადრიდში დაგვაბრუნა. სამჯერ გამოვიჩინე თავი ამ სერიაში, ავსტრიელმა ჰაპელმაც ამდენჯერვე, ოღონდ, ერთ თამაშში შინ. ახლა მისი სახელობისაა სტადიონი „პრატერი". დარტყმა აბა, მას ჰქონდა — კუმანისებური. თითქოს ჯიბრზე, ვენაშიც წამოვიდა თოვლი. და მაინც პირველი ტაიმის წაგების — 0-3 უფლება არ გვქონდა. ბერნაბეუმ შესვენებაზე ისე დაგვტუქსა, რომ ფუტკრის დაკბენილებივით გამოვცვივდით მინდორზე და მდგომარეობის შესამსუბუქებლად ის ერთი საპასუხო გოლიც საკმარისი იყო. ფლანგზე გადმოცემა შევნიშნე, შევძახე მარსალს „გამოვუშვი" და კარის კუთხეში „შევარჭე" ბურთი. მადრიდში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა — 2-0.

მომდევნო ტურში „ნიცას" გავუსწორდით შინაც და სტუმრადაც. ამ შეხვედრებში დამამახსოვრდა ის, რომ პირველად, ჩემი ინიციატივით პოზიცია დავიკავე ჩვეულებრივზე ოდნავ უკან. თავიდან ძალაუნებურად ბურთის ძიებაში, შემდეგ სრულიად შეგნებულად, შეტევის წამოწყება და დამთავრება დიდ კმაყოფილებას მანიჭებდა. ვილიალონგას ასე არ დავურიგებივარ, მით უმეტეს, მაშინ და ყველა მომდევნო წლებში დავამტკიცეთ, რომ მოთამაშეებმა თავად მოახდინონ მინდორზე მოქმედების ადაპტირება და ვილიალონგამ აღნიშნა, რომ საუკეთესო მატჩი ვითამაშე. ჩვენ ხომ რობოტები არა ვართ, რაღაც შეგვიძლია და ვხედავთ. იმ დროის „რეალის" დიდება დამყარებული იყო იმაზე, რომ კოლექტიური პასუხისმგებლობის გრძნობა გვქონდა თამაშზე, ერთი ოჯახი ვიყავით და პირადულზე მაღლა ვაყენებდით კლუბის ინტერესებს. მომდევნო წელს „ნიცის" მწვრთნელი კარნილია მოვიდა ჩვენთან. ბერნაბეუ წინასწარ მომეთათბირა. ვუთხარი, რომ კარნილია კარგად თამაშობდა „ბოკა ხუნიორსში", გამოდიოდა „ნიცაშიც", მიიღო ტრავმა, და ჩემი აზრით, იპოვა თავისი თავი მწვრთნელობაში. ხაზი უნდა გავუსვა, მე მხოლოდ იმიტომ მომმართა, რომ კარნილია არგენტინელია. არაფრით გამორჩეული ლიდერი გუნდში არ ვყოფილვარ. მეგობრებში ოინბაზობა მიყვარდა, გუნდში სამი-ოთხი ლიდერი კი გვყავდა, რომელთაც დანარჩენები ანგარიშს უწევდნენ. ყურს უგდებდნენ პიკოს (ჰენტო), მუნიოსს, მარკიტოსს, სანტამარიას. თაყვანს სცემდნენ სარაგას, რომელმაც ფასდაუდებელი, თუმცა ყველა ვერ ამჩნევდა წვლილი შეიტანა „რეალის" გამარჯვებებში. ის ცოცხალია, მაგრამ მძიმედ არის ავად, და საბრალოს ყოველივე კარგს ვუსურვებ. იგი იმათთაგანია, ვინც ასრულებდა დიდ შავ სამუშაოს და ყოველთვის ჩრდილში იყო.

### მეორე ფინალი

ნახევარფინალში „მანჩესტერ იუნაიტედთან" მოგვიწია შეხვედრა. საოცარი ინგლისელები — ევროპის ჩემპიონთა თასის პირველ გათამაშებაში არ მონაწილეობდნენ. თვალს ადევნებდნენ, რა გამოვიდოდა აქედან. გადაწყვიტეს კი ესპანურ კლუბ „ატლეტიკის" (ბილბაო) სავალალოდ, თუმცა ბასკებმა მანამდე სძლიეს დიდ „ჰონვედს". ჩვენ როგორღაც უნგრელებთან ჩავატარეთ ამხანაგური მატჩი. მიგვყავდა ანგარიში 5-3, მაგრამ ბოლოს ფეხზე ვეღარ ვიდექით (5-5). და რა მოთამაშეები ჰყავდა „ჰონვედს"! პუშკაში, ჰიდეგკუტი, ციბორი, კოშიჩი, ტოტი, ბოჟიკი... ამ უკანასკნელმა გამაპამპულა, ფეხებშუა გამიგდო ბურთი, მთელი თამაში ვდიე სამაგიეროს გადასახდელად. თქმა არ უნდა, „ატლეტიკოს" გამარჯვება „ჰონვედთან" ესპანური ფეხბურთის მაღალ დონეზე მეტყველებდა. მაგრამ ინგლისელები არიან ინგლისელები. არა იმიტომ მივაგებდი პატივს, როგორც ფეხბურთის ფუძემდებლებს.

ბუენოს-აირესში ინგლისის ნაკრების თამაშმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. 90-ვე წუთი მინდვრის ყოველ მონაკვეთზე იბრძოდა, ძალლივით ებღაუჭებოდა მეტოქეს.

და მაინც, 1953 წლიდან დაწყებული, იმ დროიდან, რაც ევროპის საუკეთესო გუნდების შედარების საშუალება მომეცა, დარწმუნებული ვარ, „რეალს" ბადალი არა ჰყავდა. მასში შერწყმული იყო სამხრეთამერიკული ტექნიკა და ევროპული ძალა. პლუს დიდი სისწრაფე. ამას ვერავინ უარჰყოფდა. დამტკიცების ნიშნად — „რეალი" ამხანაგური მატჩების უამრავ მიწვევას იღებდა, და ტურნეს ტურნეზე მართავდა, რითაც სოლიდურად იზრდებოდა მისი ხაზინა.

კლუბში იყო გამეფებული სანიმუშო წესრიგი, როგორც დირექტორატის კრებებზე, ისე გასახდელში. ერთხელ, როცა ხუნტის სხდომაზე ვილაცამ სიტყვა ჩამოაგდო განვლილ თამაშზე, ბერნაბეუმ მკვეთრად შეაწყვეტინა: „თუ გუშინდელ მატჩზე გინდათ ლაპარაკი, მიბრძანდით, ბატონო, ბარში კრების შემდეგ. ახლა კი ორგანიზაციულ და ფინანსურ საკითხებს ვწყვეტთ".

მოთამაშეები მკაცრ რეჟიმში იყვნენ. ვრცელი ინტერვიუებისა და სტადიონის გარეთ ფოტოგადაღებისათვის სპეციალური ნებართვა იყო საჭირო. ეს ახლაა, რომ მოთამაშე თავისთავად გამოდის ბეჭდვითი გამოცემის ფურცლებზე და ტელევიზორის ეკრანზე რეკლამას უწევს იოგურტსა და სხვა საქონელს.

დავუბრუნდები „მანჩესტერს". მას რეკლამას უწევდა იოგურტის წარმოება. ნამეტანი შეეცადა მათს ბაობი, დიდი კომბინატორი. თუმცა, გუნდს ჰყავდა მთელი რიგი საუცხოო ფეხბურთელები. ისინი მადრიდში „ატლეტიკთან" გამარჯვებით აღფრთოვანებულები ჩამოვიდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ბასკების ნაცვლად „ჯავრი ვიყარეთ" — 3-1. მათი მეკარე „პარაშუტით" დავასაჩუქრე, ბურთი თავზე გადავუგდე, როცა წინდაუხედავად გამოვიდა კარიდან. საპასუხო მატჩში ნამდვილი ჯოჯოხეთი გველოდა. რისი იმედი უნდა გვქონოდა?! არბიტრმა მარტო მათეუსს ბარე ოცჯერ ჩაუთვალა „თამაშგარე". საბრალო, ბრაზისგან ყმუოდა. იგი პერმანენტულად კონტრაქტის ხელმოწერის მოლოდინში იყო, ამიტომაც გოლების გატანა სჭირდებოდა, რაც მის ფასს ასწევდა. მადრიდში მესამე გოლი კი გაიტანა, მაგრამ მანჩესტერში თავის გამოჩენის საშუალება არ მისცეს. მის მაგივრად კოპა და რიალი შეეცადნენ, ვითამაშეთ ფრედ — 2-2 და ამოცანა შევასრულეთ.

მატჩის დამთავრების შემდეგ, როგორც ეს მიღებულია, ბანკეტზე მიგვიპატიჟეს. ცოტა ღვინო კი დავლიეთ, მაგრამ საკმაოდ ხმაურიანად ვიქცეოდით. ბერნაბეუს ეს არ მოეწონა. მხარდასაჭერად მე მომმართა, მაგრამ პირიქით გამოუვიდა. „გავიმარჯვეთ და რატომ არ ვიმხიარულოთ?" — ვუთხარი. ჩემი მოლოდინის საწინააღმდეგოდ ჩვენი მეტოქეები — ინგლისელები არ აკლებდნენ, თითქოს გაემარჯვოთ, ყოველ შემთხვევაში, ძალიან მეგობრულად ეჭირათ თავი, ისე არა, როგორც მინდორზე.

ფინალი „ფიორენტინასთან" ჩვენს სტადიონზე ჩატარდა 120 000 მაყურებლის თანდასწრებით. იტალიელებში უკვე მაშინ თამაშობდა რამდენიმე უცხოელი ფეხბურთელი. გამოვყოფდი მარჯვენა გარემარბ ბრაზილიელ ჟულინიოსა და ცენტროფორვარდ ვირჯილის, ტანად ძალიან მაგონებდა ვიერის, — ისეთივე კლდეში გამოკვეთილივით იყო. თამაში დაახლოებით თანაბარი აღმოჩნდა, თუმცა მცხუნვარე მზე ჩვენ გვაძლევდა ხელს. ანგარიში მე გავხსენი პენალტით, როგორც ყოველთვის, დავარტყი ძლიერად და მეკარისაგან მარჯვენა ძელთან ახლოს. შემოწმებულია — ასეთი ბურთები აუღებელია, თუმცა კარს იცავდა სარტი, საკმაოდ ცნობილი სახელი საფეხბურთო წრეებში. მეორე ბურთი მომაჯადოებელი გარღვევის შედეგად გაიტანა ჰენტომ.

როცა გაირკვა, რომ ჩემი ჩასვლა ესპანეთში სრულიად სერიოზული და დიდი ხნით იყო, დადგა მოქალაქეობის საკითხი. „რეალი" დაჟინებით მოითხოვდა კოპასთვის გაეთავისუფლებინათ უცხოელის ადგილი. ჩემთვისაც არ იყო სულ ერთი, როგორ გადაწყდებოდა ეს საკითხი, რამდენადაც ლაპარაკი იყო ნაკრების მაისურზე და მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე. რომელი მაისური ამერჩია? არგენტინული თუ კოლუმბიური - მაგრამ, გულახდილად რომ ვთქვა, ერთსაც გვარიანად მოვწყდი და მეორესაც, და თითქმის ვეღარ ვუგებდი ყოფილ პარტნიორებს.

შორეულ 1947-ში სამხრეთამერიკის პირველობაზე ექვსი თამაში ჩავატარე არგენტინის ნაკრების სახელით. მსოფლიო პირველობაში ძალა რომ ვცადო, ეს მხოლოდ ესპანეთის ნაკრების სახელით მოხდება. ამ გუნდში დებიუტი მქონდა ჰოლანდიის ნაკრებთან საქველმოქმედო მატჩში. მთელი შემოსავალი 1956 წლის უნგრეთის მოვლენების მსხვერპლთა დასახმარებლად გადაირიცხა. თამაში „ბერნაბეუზე" იყო და გამარჯვება განსაკუთრებული სიძნელეების გარეშე გვერგო — 5-1, სამი გოლი მე შევაგდე, ორი თავით. და როგორ კომპანიაში მოვხვდი! წარმოიდგინეთ თავდასხმის ხაზი: მიგელი — კუბალა — დი სტეფანო — სუარესი — ჰენტო. ლიუსიტო სუარესი, ჩემსავით პირველად გამოდიოდა ნაკრებში. სერიის გარეშე იყო, მაგრამ „ბერნაბეუზე" სტვენით შეხვდნენ. მან ჩემგან განსხვავებით, „რეალს" „ბარსელონა" ამჯობინა და მხოლოდ მოგვიანებით გამოასწორა „შეცდომა".

და აი, ასეთი დიდებული ფორვარდების ხუთეულით ვერ მოვხვდით მსოფლიო ჩემპიონატ-58-ზე. კლასიფიკაცია ხელიდან გავუშვით შვეიცარიელებთან მატჩში, ყოვლად საშუალო დონის გუნდთან. 2-2 ორად ორი შესაძლებლობის რეალიზება შეძლეს, ჩვენ კი კარის აღების ათობით შანსი გაგვიცუდდა. ანგარიში მიგვყავდა 2-1 კუბალამ ააცილა სრულიად წაუგებელ სიტუაციაში. მაგრად მოგვხვდა პრესის ფურცლებზე, და დამსახურებულადაც. აქამდე განვიცდი იმ ჩავარდნას. მაგრამ, როგორც ხალხში ამბობენ, ესპანელებს პესეტამდე ათი სენტომი არ ყოფნით. სრულიად გამიქრა ინტერესი შვედეთის ჩემპიონატისადმი. ტელევიზია, დიდი შერჩევით აჩვენებდა მატჩებს. და რაღა საყურებელი იყო, ჩვენ გავვარდით, არგენტინა კი მონაწილეობდა, მაგრამ ჩეხებისაგან ექვსი ბურთი მიიღო. ეს იყო ბრაზილიისა და პელეს ჩემპიონატი.

ამ დროისათვის რამდენიმე მატჩი ვითამაშე ესპანეთის ნაკრებში. დამამახსოვრდა გოლი პორტუგალიელებს რომ შევუგდე. საჯარიმოთი „კედლის შემოვლით". დარტყმა ძლიერი არ იყო, მაგრამ ზუსტი! მათვე გავუტანე მეორე ბურთი, შევუგდე კი არა, „შევარჭე". კიდევ არ დამავიწყდება გოლი ბელგიელებთან ბარსელონაში. ნახტომში თავსუკან გადავიგდე ბურთი და გავიდა კარში. მსგავსი რამ აღარასოდეს გამომსვლია. ფოტოც კი არ დამრჩენია სამახსოვროდ.

კიდევ ერთი სრულიად მოულოდნელი დამარცხება განვიცადეთ ეროვნული გუნდების ევროპის ჩემპიონატის მისადგომებთან. ხოჟუვში გავანადგურეთ პოლონელები და ჩემოდნებზე ვისხედით, რუსეთში უნდა გავმგზავრებულიყავით. და უცებ გვაცნობეს: გამგზავრება არ შედგება პოლიტიკური მოტივებით. ... იმედითა ვიყავით, რომ თავს გამოვიჩენდით მსოფლიო ჩემპიონატზე ჩილე-62-ში. გზად მუნდიალისკენ პირველი წინაღობა უელსის გუნდი იყო. კარდიფში ჩემმა გოლმა გამარჯვება მოგვიტანა, მადრიდში ფრედ ვითამაშეთ. შემდეგ მაროკო — და ჩემპიონატის ბილეთები ჯიბეში გვედო. ნაკრებში ჩვენთან მსოფლიო სახელის ორი მწვრთნელი მუშაობდა. სელექცია ევალებოდა პედრო ესკარტინს, რომელმაც შერჩევითი ეტაპის შემდეგ პოსტი დატოვა. მის მაგივრად მოვიდნენ ერნანდეს კორონადო (სელექციონერი) და ელენიო ერერა (მთავარი მწვრთნელი). პედრო ესკარტინი კარგი მწვრთნელი იყო, უაღრესად საქმის ერთგული. იგი ყველას გვაძლევდა ერთგვერდიან ინფორმაციას მეტოქის შესახებ. მასთანაა დაკავშირებული სასაცილო ამბავი. ერთხელ იგი დიდხანს გვიხსნიდა, როგორ უნდა ვითამაშოდ სისტემით 4-4-3, ერთ-ერთმა ვეღარ გაუძლო და ჰკითხა: „დონ პედრო, მაგრამ გამოდის რომ ჩვენ მინდორზე თორმეტნი ვართ?.." მწვრთნელს სქემის გარდაქმნა მოუხდა. ჩილეში გაფრენამდე ბოლო შეკრება ტარდებოდა და რამდენიმე საკონტროლო მატჩი გვქონდა. ერთ-ერთის, ავსტრიელებთან თამაშის შემდეგ საშინელი ტკივილი ვიგრძენი ფეხის ნაკუთალის კუნთში, ექიმებმა დაადგინეს ნერვის მოჭეჭყვა. შეკრების შემდეგ შეადგინეს ოცდაორკაციანი სია, რომლებიც განაცხადში ირიცხებოდნენ. ამზადებდნენ ოცდაათზე მეტს, წარმოგიდგენიათ მათი მდგომარეობა, ვინც არ მოხვდა ამ სიაში. ზოგიერთი ტიროდა, ამანსიომ ლანძღვაგინება არ დააკლო მწვრთნელთა მისამართით.

ჩემი გვარი სიაში იყო, მაგრამ მუხლის ტკივილი სერიოზულად მაწუხებდა. ვფიქრობ, ეს წონის დაკლების შედეგი იყო. ელენიო ერერამ პირდაპირ თავი გამოიდო მოთამაშეთა წონაზე. ასობით აბს გვაყლაპებდა. ნაწილს, რა თქმა უნდა, ვყრიდით. მიზნად დამისახა — ოთხი კილოგრამის დაკლება.

ჩილეში ჩასვლისთანავე უკვე საერთო ჯგუფში ვვარჯიშობდი, მაგრამ ოცი წუთის შემდეგ ფეხი მეკრუნჩხებოდა. სცადეს ყოველგვარი სხივები. ძილის წინ ჩემი ოთახის მეზობელი ლუსიტო სუარესი, ფეხზე ღამის ნათურას მიმაგრებდა კუნთი რომ გამთბარიყო. მღელვარებისგან მაძიგძიგებდა. ნუთუ არ მეღირსება მუნდიალზე თამაში? საბრალო მშობლები, მოივწიეე ჩამოფრენილიყვნენ სანტიაგოში! ნუთუ ვერ მნახავენ ისინი ესპანეთის ნაკრების ფორმაში?

ელენიო ერერას ვთხოვდი ერთი დღე მაინც მოეცა სულის მოსათქმელად. მან კი დამატებით ხილის დიეტაზე დამსვა. ზღვის პროდუქტიც კი ამიკრძალა. იგი კი, მოგეხსენებათ, ჩილეში ზღაპრულია. და ვარჯიში, ვარჯიში გაუთავებლად ერერას ფანატიზმი მაცოფებდა. პირველ თამაშებს ტრიბუნიდან ვადევნებდი თვალს, ვიმედოვნებდი, რომ მომდევნო მატჩს ვითამაშებდი. ჩვენ რომ ჯგუფურ ტურნირს გავივლიდით, სულაც არ მაეჭვებდა: გუნდი უჩემოდაც ძალიან ძლიერად გამოიყურებოდა. და აი, პირველი პური კუტად ჩავარდა: ჩეხებმა ზედ ფინალური სასტვენის წინ შეგვიგდეს გოლი. პეიროს გოლის წყალობით ვძლიეთ მექსიკელებს, მაგრამ ახლა მსოფლიო ჩემპიონებთან, ბრაზილიელებთან მატჩში მარტო გამარჯვება გვაძლევდა ხელს.

მიმაჩნია, რომ იგი ჩვენ მოგვპარეს. ალბათ ჩემს გვერდით რომ იჯდა ტრიბუნაზე პელეც, დამეთანხმებოდა ამაში.

*(გაგრძელება იქნება)*

*დასაწყისი იხ. „ლელო" №72-77*

## კაპელო უჩივის არაკომპეტენტურ პრეზიდენტს

„რომას" მთავარ მწვრთნელ ფაბიო კაპელოსა და კლუბის პრეზიდენტ სენსის შორის „შავმა კატამ" გაიარა. ეს დაიწყო მას შემდეგ, რაც რომის ტელევიზიით გამოსვლისას კაპელომ იჩივლა — არაერთგზის თხოვნის მიუხედავად არ შეიძინეს ცნობილი მცველი ფაბიო კანავარო („პარმა"), რომელიც მას ძალიან სჭირდება. თურმე ეს ყოფილა კაპელოს მთავარი თხოვნა. „რა ვქნა, ვერაფერს ვაწყობ ამ შეუსმენელ ადამიანთან". ეს კაპელოსა და სენსის ურთიერთობის დასასრულის დასაწყისს უნდა მოასწავებდეს. მართალია, სენსიმ ერთგვარად გამოასწორა მდგომარეობა, როცა „მონაკოდან" სეზონის ბოლომდე იჯარის უფლებით შეიძინა 28 წლის მცველი პანუჩი. პანუჩი წაეჩხუბა „მონაკოს" ახალგაზრდა მწვრთნელ დიდიე დეშამს და მისი გადმოყვანა საკმაოდ იოლი აღმოჩნდა ერთნახევარ მილიონ დოლარის ფასად. პანუჩი კაპელოს ძალიან კარგად იცნობს: 1997 წელს მათ ერთად მოიგეს ესპანეთის ჩემპიონატი მადრიდის „რეალის" შემადგენლობაში. გარდა ამისა, იგი თამაშობდა მილანის „ინტერში", „ჩელსსა" და „ჯენოაში", სადაც 1990 წელს დაიწყო თავისი ხანგრძლივი კარიერა დიდ ფეხბურთში.



ფაბიო კაპელო

მიმომხილველები თვლიან, რომ კაპელო „რომაში" უკვე გულით ვეღარ მუშაობს, რომ ამ გუნდში შეიქმნა ისეთივე სიტუაცია, როგორც ერთი წლის წინათ „ლაციოში" იყო. მაშინ ინგლისში სვენ-გორან ერიქსონი გადაბარგდა, ახლა იგივეს კაპელოსაც სთავაზობენ. ინგლისში თვლიან, რომ კაპელოს გამარჯვებულის მყარი რეპუტაცია აქვს და თუ ვინმე შეცვლის „მანჩესტერ იუნაიტედში" ალექს ფერგიუსონს, იგი სწორედ კაპელო უნდა იყოს. ჯერ ოფიციალურად არაფერი ცნობილი არ არის, მაგრამ ინგლისის პრესაში მაინც გამოჩნდა ცნობა, რომ კაპელოს ოთხწლიან კონტრაქტს სთავაზობენ, ამასთან, წელიწადში 2,8 მილიონ გირვანქა სტერლინგს (4 მილიონ დოლარზე მეტს) მიიღებს.

— ჩვენ დავკარგეთ რიტმი და შესაძლოა, თავგზაც — ამბობს კაპელო, — იმ ხარკს ვიხდით, რომელსაც იტალიის ყველა ჩემპიონი იხდის, რომელიც მას ქვეყნის პირველობაზე გამარჯვების შემდეგ რჩება ხოლმე. დიახ, ეს უზარმაზარი ენერგიის დახარჯვას მოჰყვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიახლეთა ესტაფეტა

### ყაზანში შეკრებილი საგადასახადო პოლიცია კუნთებზე იყურება

თათრეთის დედაქალაქში მიმდინარეობს რუსეთის საგადასახადო პოლიციის ფედერალური სამსახურის ჩემპიონატი ხელჩართულ ბრძოლაში. 150-მდე სპორტსმენი-პოლიციელი ოთხ წონით კატეგორიაში იბრძვის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად. ჩემპიონატზე რუსეთის თითქმის ყველა რეგიონია წარმოდგენილი.

### ოლიმპიური ჩემპიონის უკვდავსაყოფად

ოლიმპიური ჩემპიონები ისედაც უკვდავები არიან, მაგრამ ზედმეტად, მით უფრო სიცოცხლეშივე პატივის მიგება სულაც არ არის ზედმეტი. დონის როსტოვში საგანგებო დაფა დაიდგა ამ ქალაქიდან პირველი ოლიმპიური ჩემპიონის, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონის, რუსეთის დამსახურებული მწვრთნელის ვალენტინ ნიკოლაევის საპატივცემლოდ.

## რას არ გაიგებთ

### რუმინელი მოცურავე აპირებს რეკორდი დაამყაროს... ყურებით ცურვაში

ეს მოცურავეა აურელუ ვერნიკი, რუმინეთის სოფელ ხალაუჩესტიდან. თავის დროზე იგი სპორტის ამ სახეობაში პროფესიონალი იყო, თუმცა მსოფლიო რეკორდები არ დაუმყარებია. ახლა მას თავისი ცხოვრების მიზნად დაუსახავს დაასაბუთოს ანეკდოტი ადამიანის თავის შესახებ, რომელიც ყურების მოძრაობით დაცურავდა. სწორედ ამ ორგანოს წყალობით სურს ხელ-ფეხ შეკრულმა გაცუროს 400 მეტრიანი დისტანცია, გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენელთა თანდასწრებით. თუ ამას შეძლებს, მომავალში ყურების დახმარებით უნდა გადაცუროს შავი ზღვა. გაისად — უკვე ახლავე ირწმუნება, რომ ასეთ მდგომარეობაში მას შეუძლია იცუროს 12-14 საათი.

**«ლელოს» რედაქციისაგან:**
**ეს იგივე ხომ არ არის, რაც ერთმა ქართველმა სახელმწიფო მოხელემ და ცურვის მოყვარულმა უკვე შეძლო, როცა ხელ-ფეხ შეკრულმა გაცურა „ლაგუნა-ვერეს“ საწყლოსნო კომპლექსში. ვფიქრობთ. ჩვენმა მოცურავემ ვერ მოისაზრა თავისი რეკორდისთვის „სმენის ორგანოებით“ ცურვა დაერქმია, თორემ სხვა მხრივ განსხვავებას ვერ ვხედავთ!**



მაიკლ ჯორდანი

## მაიკლ ჯორდანს სურს „გაძღეს“ კალათბურთით

მაიკლ ჯორდანი, როგორც ცნობილია, კვლავ დაბრუნდა სარბიელზე, როგორც მოთამაშე. ახლა იგი ოფიციალურად წარუდგინეს 200-მდე ჟურნალისტს. კალათბურთის მეფე ერთი საათის განმავლობაში პასუხობდა შეკითხვებს. „მე დავბრუნდი არა სპორტული დიდების მოსახვეჭად, არამედ მსურს ბოლომდე „გავძღე კალათბურთით“ — თქვა ჯორდანმა. მას სურს რეგულარული ჩემპიონატის ყველა 82 მატჩში ითამაშოს, ამასთან, მოედანზე დარჩება 45-45 წუთი.

პრესკონფერენციაზე ნაციონალური ლიგის ჰოკეის ვარსკვლავმა თქვა: „მე მჯეროდა, რომ ჯორდანი დაბრუნდებოდა. მის ახალ კლუბ „ვაშინგტონს“ ნბა-ს მოგების დიდი შანსი არ აქვს, მაგრამ მისთვის ჯორდანს კიდევ შეუძლია ერთი-ორი წელიწადი იხტუნოს — კალათბურთი მისი ცხოვრებაა“.

## კვიმატი ობიექტივი



### გადაიდო რუისის შეხვედრა ჰოლიფილდთან



ჰოლიფილდი

პროფესიონალ მოკრივეთა ეს პაექრობა ნოემბერში იგეგმებოდა ჩინეთში. როგორც გუშინ გაირკვა, პაექრობა ისევ და ისევ უსაფრთხოების გამო გადაიდო. პრომოუტერი დონ კინგი აცხადებს, რომ უახლოეს დღეებში მიაღწევს შეთანხმებას, რათა მოკრივეთა ეს ასპარეზობა, რომელსაც ყველა დიდი ინტერესით მოელის, აშშ-ში გაიმართოს.

## ყოფილ თბილისელ ვასილ დავიდენკოს დისკვალიფიკაცია მისცეს

**თბილისში აღზრდილი და დაოსტატებული ველომრბოლი ვასილ დავიდენკო, რომელიც ბოლო 10 წელიწადია მოსკოვში ცხოვრობს ქართველ მეუღლესთან ერთად და რუსეთის მოქალაქეა, ორი თვითაა დისკვალიფიცირებული სისხლში დოპინგის აღმოჩენის გამო. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო რუსეთის ველოფედერაციამ მას შემდეგ, რაც აშშ-ს ფედერაციამ ანალიზის შედეგი აცნობა ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირს. სინჯი დავიდენკოს წლეულს აუღეს, 7 აპრილს, ტეხასში გამართული შეჯიბრების დროს. „ნოვიგატორმა“, რომლის გუნდის შემადგენლობაშიც გამოდის დავიდენკო, გაკვირვება გამოთქვა მომხდარის გამო. „როგორც ჩანს, საკვები შეიცავდა აკრძალული ნივთიერებების რაღაც კომპონენტებს“ — აცხადებენ ისინი და თავიანთ ველომრბოლთა ექიმებს მოუწოდეს, ყოველთვის დაბეჯითებით შეამოწმონ პროდუქტები აკრძალულ ნივთიერებათა შემცველობაზე.**

## ხელფასი ორჯერ გაუზარდეს

„ნიუ-ჯერსი — დევილზის“ ჰოკეისტს, მეკარე მარტინ ბროდერს კლუბის ხელმძღვანელობამ შესანიშნავი საჩუქარი უძღვნა — ახალი სეზონიდან, რომელიც ეს-ესაა დაიწყო, იგი გაორმაგებულ გასამრჯელოს მიიღებს. ახალი კონტრაქტით ბროდერი კიდევ ხუთი წელი დარჩება კლუბში. კონტრაქტი 40 მილიონიანია. კონტრაქტის პირობით, თუ მეპატრონე მოისურვებს, ცალმხრივად შეუძლია კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გააგრძელოს.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

სპორტი ცისფერ ეკრანზე
5 – 7 ოქტომბერი

**5 ოქტომბერი, პარასკევი**

*საქართველოს ტელევიზია.* ***რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (15.20). ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი (10.45, 20.00), ***РТР.*** კიკბოქსინგი. მსოფლიო ჩემპიონატი (1.05), ***ESPN.*** ფეხბურთი. მსოფლიო თასი: მიმოხილვა (08.30), იტალია — უნგრეთი (პირდაპირი, 01.00), ინგლისის ჩემპიონატი: „ტოტენხემი“ — „მანჩესტერი“ (03.30), ***EUROSPORT.*** კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (19.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (1.30). ***НТВ плюс футбол.*** კონფედერაციის თასი-2001: საფრანგეთი — მექსიკა (14.20), კამერუნი — კანადა (16.45), იაპონია — ავსტრალია (21.40), საფრანგეთი — ბრაზილია (23.40, ნახევარფინალი), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (1.25), ***НТВ плюс спорт.*** კიკბოქსინგი. პროფესიონალთა სამატჩო შეხვედრა (12.15), ტაილანდური კრივი (1.15).

**6 ოქტომბერი, შაბათი**

*საქართველოს ტელევიზია.* ***I არხი.*** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: რუმინეთი — საქართველო (22.25, რეპორტაჟი ბუქარესტიდან), ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა (19.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00). ***ESPN.*** ფეხბურთი: გოლები (18.00), ინგლისის ჩემპიონატი. „საუტჰემპტონი“ — „დერბი“ (18.30), „ვესტ-ჰემი“ — „შეფილდი“ (21.30), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. მსოფლიო თასი — 2002-ს გზით (14.00, 23.30, 2.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (3.45), ***НТВ плюс футбол.*** კონფედერაციის თასი-2001. საფრანგეთი — ბრაზილია (13.15, ნახევარფინალი), მსოფლიო ჩემპიონატი 2002: პოლონეთი — უკრაინა (18.25), ხორვატია — ბელგია (20.55), რუმინეთი — საქართველო (22.15), ***НТВ плюс спорт.*** დიდი რინგი (0.00).

**7 ოქტომბერი, კვირა**

*საქართველოს ტელევიზია.* ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (23.30), ***მე-9 არხი:*** ევროპის სტადიონებზე (12.25), მსოფლიო ფეხბურთი (19.35). ***EUROSPORT.*** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (1.00, 1.30, 3.30), ფეხბურთი. მსოფლიო თასი — 2002-ს გზით (12.45, 20.00), ველორბოლა. მსოფლიო თასი (18.30, 2.45). ***ESPN.*** ფეხბურთი. მსოფლიო თასი. იტალია — უნგრეთი (10.00), ინგლისის ჩემპიონატი: „ნიუკასლი“ — „საუთჰემპტონ“ (18.00), „ლეიკერსი“ — „სანდერლენდი“ (20.00), ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (22.30). ***НТВ плюс футбол.*** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: პოლონეთი — უკრაინა (13.15), ხორვატია — ბელგია (15.00), რუმინეთი — საქართველო (16.55). კონფედერაციის თასი. მატჩი მე-3 ადგილისათვის. ავსტრალია — ბრაზილია (21.10), იაპონია — საფრანგეთი (23.25). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი (14.30), „ბილიარდის მეფეები“ (19.00), ტაილანდური კრივი (1.30).

## ტრაგედია

### დაიღუპა კატასტროფაში

ტრინიდადის ნაკრებისა და იქაური კლუბის „როჩესტერის“ ფეხბურთელი ტროტმანი ძმასთან და ორ მეგობართან ერთად დაიღუპა ავტოკატასტროფაში ქვეყნის დედაქალაქ პორტ-ოფ-სპეინში. ტროტმანი ნაკრების ვარჯიშიდან ბრუნდებოდა. მისი გუნდი კვირისათვის 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩ გონდურასის ნაკრებთან შესახვედრად ემზადებოდა.

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სიდნეიში ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის ფსიქოლოგ-კონსულტანტი, დოცენტი**

**ამირან ბრიგოლავა**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

## კროსვორდი №78



თარაზულად: 7. ოლიმპიური ჩემპიონი, ქართველი ძიუდოისტი, 9. „სელტიკის“ შვედი ფეხბურთელი, 10. ინგლისის საფეხბ. ნაკრების ყოფილი ცნობილი მწვრთნელი, 11. ლიბერიელი ცნობილი ფეხბურთელი, 12. ქართველი ფეხბურთელი, ოლიმპიური პრიზიორი, 14. მატჩის ერთი ნახევარი, 18. ცნობილი ჩილელი ფეხბურთელი, 19. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 21. ნიჩბოსანთა სადგური, 23. არგენტინელი ფეხბურთელი, მს. ჩემპიონი, 25. ფეხბურთელი, რომელმაც ერთ მსოფლიო ჩემპიონატში გოლების რეკორდი დაამყარა, 27. ესპანეთის საფეხბ. ნაკრების მწვრთნელი 1998 წ. მს. ჩემპიონატზე. შვეულად: 1. დებიუტანტი სპორტში, 2. მწვერვალი კავკასიონზე, 3. ვეტერანი-უნგრელი ფეხბურთელი, „ოქროს ბურთის“ მფლობელი, 4. ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი, ფოთის „კოლხეთის“ მწვრთნელი, 5. ტანვარჯიშული იარაღი, 6. ჩოგბურთში საჩოგბურთო ტურნირი „დიდი..., 8. ცნობილი ქართველი ძიუდოისტი, ოლ. თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი. 13. გერმანიის საფეხბ. კლუბი, 15 საფრანგეთის საფეხბ. კლუბი, 16. იტალიის სერია „ბ“-ს გუნდი, 17. არგენტინის საფეხბ. ნაკრების კაპიტანი, 1978 წლის მს. ჩემპიონი, 20. ცხენის დასაჭედი ლითონის ფირფიტა ან რკალი, 21. კონტინენტი, 22. ექსტრაკლასის ფეხბურთელი, მოჭადრაკე, 24. პარტია ჩოგბურთის თამაშში, 26. პროფესიონალი მოკრივე.

### კროსვორდი №77 ● პასუხები:

თარაზულად: 1. ხურცილავა, 5. ფარი, 8. ბობანი, 9. ტალტსი, 10. ლი, 11. ფრე, 14. ტრიალი, 16. რიო, 19. „ბრანი“, 20. კალათბურთი, 22. „ლილი“, 23. „რეინჯერსი“, 24. ჯირო, 25. იტო, 26. „აია“. შვეულად: 2. რაფტერი, 3. ინსი, 4. არბალეტი, 5. ფანი, 6. ისარი, 7. მატჩი, 11. ფრენბურთი, 12. „სარაგოსა“, 13. კილანინი, 15. ილინი, 17. კაზინო, 18. ათენი, 21.სეტი.

### საჭადრაკო ამოცანა

ჯემალ მახათაძე
(ხაშურიდან)



ნადიშამათი 2 სვლაში
(სამი ამოხსნა)

წინა ნომრის ამოცანა იხსნება ნადიშამათით 3 სვლაში:
1. ლc3+ მf4+ 2. მფd4 კd3 3. მc5 კb2X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, 8. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX ● „ლელოს“ კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.